წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | პარასკევი, 13 მაისი 1916 წ. | № 106

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ?? ???? 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კვირაის ზარეში მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ელირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ელირება 4 მ.
**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 8 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

## გაზ. „საქართველო“-ს კანტორა

უმორჩილესად სთხოვს წლიურ ხელის მომწერთ დააჩქარონ მეორე ნახევარი ხვედრი ფულის შემოტანა.

## მსურველთ შეუძლიანთ

დაიკვეთონ (გაზეთ საქართველოს რედაქციაში) მ. ჭიაურელის

## ქანდაკებანი (ალიბასტრისა)

თამარ მეფისა და ვასო აბაშიძისა

რომელნიც „საქართველოს“ დამატებაში დაიბეჭდა.

3—95—1 ფასი თითო ქანდაკებისა 15 მანეთი.

საუკეთესო კახური

## ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის

## ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ქ. ბაქოში

## ღვინით ვაჭრობა „მელაანი“

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

ექიმი-დოსტაქარი

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

## ა. დ. შაჰაზაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. სად. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

## სტუდენტები

ამზადებენ მსურველთ სასულიერო სასწავლებლის და სემინარიისათვის.
წყნეთის ქუჩა № 15. იკითხეთ პარიკმახერთან. (14—174—1)

დ. ზესტაფონში

ექიმი

## დ. კ. მაჭავარიანი

5 მაისიდან მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. **№ 36, მეორე სართული.**

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, **№ 3**, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
**ტელეფონი, 17—21.**

## გამოვიდა გაზ. „საქართველოს“ პრემია

# მერანი

წიგნი I.

გაზ. „საქართველოს“ თბილისის წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ მიიღონ რედაქციაში, მოსკოვის ქუჩა № 4. პროვინციის წლიურ ხელის მომწერთ პრემია გაეგზავნებათ ხარჯის ფასდადებით.

ცალკე გასასყიდად „მერანი“ ღირს 2 მანეთი.

### პრემულში მოთავსებულია:

1. **სანდრო შანშიაშვილი**—სალამური.
2. **ი. გრიშაშვილი**—რა კარგი ხარ...
3. **კ. მაყაშვილი**—სიკვდილ სიცოცხლის ცეკვა.
4. **ინ-ბანი**—ცხოვრების მგზავრი. წაგართვი მზეო. გრძნეული ჩანგი. მზიელა.
5. **ს. შანშიაშვილი**—ბერდო ზმანია.
6. **შიო მღვიმელი**—მუდამ სევდიანს.
7. **გ. რუხაძე**—ამონაკვნესი, ვნახე ქალი.
8. **გ. ქუჩიშვილი**—ღამე ნატეხი, მერცხლები, ღელვა.
9. **ლეო ქიაჩელი**—მუხა და ტირიფი.
10. **დ. კასრაძე**—ღვირლვა.
11. **ალ. ყაზბეგი**—დარო.
12. **ტრ. რამიშვილი**—ჭკუა მხიარული.
13. **დიმიტრი არაყიშვილი**—თავისუფალი მარში (ნოტებზე).

**წიგნი დასურათებულია მხატვარ ვალიკო ხიდაშელ-ერისთავის მიერ.**
წიგნში ჩართულია 4 სურათი სიპ ქაღალდზე დაბეჭდილი, სულ 16 სურათია ტექსტში.

## მოდის მაღაზია მ. ბაშარულისა

სასახლის ქუჩაზე

იშოვება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი

მხოლოდ ევროპიული

(—83—)

საგალანტერიო მაღაზია

## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გვეღესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი: ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**
(101—წ.)

კბილის ექიმმა

## მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 7 მაისი. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი.** კუნძულ ლაპენის სამხრეთ დასავლეთ მიდამოებში გერმანელები შეეცადნენ იერიში მოეტანათ რუსების თხრილებზე, მაგრამ დიდის ზარალით უკუ აგდეს. ბაშლიკის მიდამოებში, ოლიკის ჩრდილოეთით რუსის მზვერავებზე იერიში მოიტანეს ავსტრიელებმა, მაგრამ რუსებმა კონტრ-იერიშით და ხელის ყუმბარებით განდევნეს მტერი. სხვა ადგილებში, რიგიდან რუმინეთის საზღვრებამდე, არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

**კავკასიის ასპარეზი.** ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა.

—

**პარიზი,** 10 მაისი. დღის ოფიციალი. მაასის ორივ ნაპირებზე ვერდენის მიდამოებში მთელი ღამის განმავლობაში მკაცრი ბრძოლაა. მარცხენა ნაპირზე „304“ მაღლობთან მტერმა ორი ძლიერი იერიში მოიტანა, მაგრამ უშედეგოთ ჩაიარა. „304“ მაღლობის დასავლეთით გერმანელებმა მანქანები იხმარეს, რომლებიც ცეცხლს ისროდა. ამან მტერს საშუალება მისცა შეჭრილიყო ფრანგთა თხრილებში, მაგრამ მალე განდევნეს აქედამ. აღმოსავლეთით მტრის იერიში ცეცხლით მოვიგერიეთ. ამ ადგილებში გერმანელებმა ვერ შესძლეს ჩვენს თხრილებთან მოახლოვება. ტიომონ-დუომონის ახლო-მახლო ბრძოლას სასტიკი ხასიათი ეძლევა. მთელი ღამის განმავლობაში მტერს უშედეგო იერიშები მოჰქონდა.

გერმანელებმა ხელთ იგდეს ერთი თხრილი, რომელიც ამას წინად დაჰკარგეს. ფ. დუომონის შუა ადგილები ისევ ჩვენ ხელშია.

მიუხედავად სასტიკი წინააღმდეგობისა, ფრანგები მტერს უკან ახევინებენ. გერმანელებს მხოლოდ მაასის მაღლობების ჩრდილო-აღმოსავლეთი უჭირავთ. დე-შევალეს ტყესთან ფრანგებმა მოულოდნელი იერიში მიიტანეს მტერზე და მიზანს მიაღწიეს. სხვა ადგილებში სიმშვიდეა.

**პარიზი,** 10 მაისი. საღამოს ოფიციალი. ვერდენის მიდამოებში გერმანელების იერიშებმა მკაცრი ხასიათი მიიღო. მაასის მარცხენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლის შემდეგ გერმანელები იერიშით წამოვიდნენ მორტჰომის აღმოსავლეთით და დასავლეთით. მტრის პირველი ნაწილი ჩვენმა არტილერიამ გაანადგურა, ხოლო მეორემ დასავლეთით ჩვენი თხრილები დაიჭირა. მცირე ხნის შემდეგ კონტრ-იერიშით მტერი სრულიად გავდევნეთ. ოდრემონ-დუომონის მიდამოებში მთელი დღე საშინელი სისხლის ღვრა იყო. საარტილერიო ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა იერიში გაამრავლეს. მიუხედავად საშინელი იერიშისა დუომონის ფორტში სანგრები შევინარჩუნეთ. ამ მიდამოებში დავატყვევეთ 300-მდე კაცი. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში ზარბაზნების ჩვეულებრივი სროლაა; ფიურნის მიდამოებში გერმანელების მფრინავი ჩამოვაგდეთ. ბონომის ახლოს, მტრის ხაზზე ჩამოვარდა ჩვენი მფრინავი „ავიატიკი“. ლენჟას მიდამოებში ჩვენმა მფრინავმა ჩამოაგდო მტრის ერთი მფრინავი, ხოლო ორი განდევნა.

**პარიზი,** 10 მაისი. ბელგეთის ოფიციალი ცნობა. რამსკაპელეს აღმოსავლეთით სასტიკი საარტილერიო ბრძოლაა. მტრის თხრილებს ზარბაზნებს ვუშენთ.

**პარიზი,** 11 მაისი. ოფიციალი. დღის 1 საათი. შამპანში, მხრჩოლავი ბოლის შემწეობით მტერი შეეცადა ნაკარენის დასავლეთით წინ წამოწევას, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ თავიანთ თხრილებში დააბრუნა. მაასის მარცხენა ნაპირზედ მორტჰომის აღმოსავლეთით მტერი იერიშით წამოვიდა სოფ. კიუმერისკენ. დასავლეთით თხრილები ხელთ იგდო. უკანასკნელად მოსულის ცნობით, მორტჰომის მიდამოებში 8 მაისიდან სამ დივიზიაზედ მეტი მოქმედობდა. მაასის მარჯვენა ნაპირზე საარტილერიო მზადების შემდეგ საშინელი იერიშით მტერი ოდრემონის და დუომონის მიდამოებში წამოვიდა. თავგანწირული ბრძოლის შემდეგ დუომონის ფორტის დასავლეთით ხელთ იგდო თხრილები. ვევრში ექს-მულენვილის სექტორს მტერი ყუმბარებს უშენდა.

**ლონდონი,** 10 მაისი. ინგლისის ოფიციალი. გუშინ ღამით და დღეს ვიმის არე-მარეში, დიდი საარტილერიო ბრძოლაა მტრის არტილერიამ დიდი მხნეობა გამოიჩინა კოოხეს და რულერის ლიანდაგ შუა. საარტილერიო და სანაღმოსნო ბრძოლა სხვა ადგილებშიაც მოხდა. გუშინ, მტრის მფრინავებმა დიდი მხნეობა გამოიჩინეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**გერმანელები ინგლისელების წინააღმდეგ.**

გაზ. „Matin“ გადმოგვცემს გერმანელების სასტიკ წინააღმდეგობას ინგლისელების მიმართ და დასძენს: საფრანგეთის ასპარეზის ჩრდილო-უბნებში, სულ მცირე ხანში დიდი ამბებია მოსალოდნელიო.

**გერმანელთა მზადება.**

„Daily Telegraph“ იტყობინება რომ გერმანელები ბლომად ეზიდებიან ჯარებს და იარაღს. საიდუმლოს დასაფარავად დახურულია შვეიცარიის საზღვარი და ავსტრიის გზებზედაც მიმოსვლა შეჩერებულია. უკვე გამოირკვა, რომ დიდძალი მფრინავი და ცეპელინებია გაგზავნილი რუსეთის ასპარეზზე. გაზეთი ბოლოს დასძენს: გერმანელებს დიდი მოქმედება დაუსახავთ და მალე რუსეთის წინააღმდეგ გაილაშქრებენო.

**ვოლინის ასპარეზი.**

როგორც „ბირჟ. ვედ.“-ის ჟიტომირელი კორესპონდენტი იტყობინება, უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში, ვოლინის ასპარეზზე ავსტრიელ-გერმანელები დიდად მოქმედებენ. განსაკუთრებით მხნეობა გამოიჩინეს ოლივა-კელკი-გულევიჩის მიდამოებში. მრტო ოლიკის მიდამოებში გერმანელებმა ექვსი სასტიკი იერიში მოიტანეს. თავგანწირული ბრძოლით წამოვიდნენ აგრეთვე ოლესნიცის თხრილებისკენ, მაგრამ ბევრ შემთხვევაში მიზანს ვერ აღწევდნენ.

გერმანელებმა უფრო მზვერავთა მოქმედებას მიაქციეს ყურადღება. თითქმის ყოველდღე გამოჩნდებიან ხოლმე ჯერ მფრინავები მერე კი „ცეპელინიც“. ხან და ხან იგინი ტყეს ეფარებიან და იქიდან მოპირდაპირეს ყუმბარებით უმასპინძლდებიან.

**რიგის ასპარეზი.**

რიგის ასპარეზზე უამინდობაა. ბოლო ხანებში თოვლიც მოვიდა და ალაგ-ალაგ ყინვებიც დაიჭირა. ყველა ეს, რასაკვირველია ხელს უშლის ჯარის მოქმედებას ამისთვის. მდგომარეობა ჯერ-ჯერობით უცვლელია. გერმანელები მაინც არ სწყნარდებიან და ხან და ხან თოფსა და ტყვიისმფრქვეველსაც ამოქმედებენ. ზოგიერთ ადგილებში საარტილერიო ბრძოლაც სწარმოებს, რასაც არავითარი შედეგები არ მოსდევს. გერმანელები ღამეც არ ისვენებენ და პროჟექტორებით ანათებენ ბრძოლის ველს.

**საბერძნეთი.**

ათინიდან იტყობინებიან: საბერძნეთის მთავრობას განუცხადებია: პორუჩიკმა კარფოპულისმა სალონიკში ორი სერბიელი ჯარის კაცი მოჰკლა, ვითომ და იმისთვის, რომ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიეყენებინოთ მეფე კონსტანტინესთვის.

სერბეთის ელჩმა ათინაში ბალუჯიჩმა ამის გამო საბერძნეთის მთავრობას გულის წყრომა გამოუცხადა. ჯარის კაცები, როდესაც მათ ბერძენი პორუჩიკი თავს დაეცა, უიარაღონი იყვნენ.

ათინიდანვე მოსული ცნობით, საბერძნეთმა გულის წყრომა გამოუცხადა მოკავშირეთ, რადგანაც მათ საბერძნეთის დაუკითხავად დაფა-თეპეს ასპარეზი დაიჭირეს. ფრანგები ფლორინის აღების შემდეგ სტრუმიცას გადავიდნენ.

**ბულგარეთი.**

„Journal des Balkans“ იტყობინება, ბულგარელები დაპყრობილ სერბეთში ახალ გზებს აწყობენ სხვა და სხვა სტრატეგიული მნიშვნელოვანი ადგილების შესაერთებლად. შტო მონასტირ—პრილეპი დამთავრებულია. მეორე რკინის გზის შტოს უსკიუბდოირანი, რომელიც სტრუმიცაზე მიდის და სამხედრო გზას პეტრიჩ-მელნიკო-ნევროკოპს ამთავრებენ. რადგანაც დიძალი ჯარი გადაჰყ-გადმოჰყავთ, ამისათვის ბულგარეთსა და ძველ სერბეთ შორის დროებით გამოსვლა შეჩერებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის
სავაჭრო-სამრეწველო ბანკის
საორგანიზაციო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ თანახმად ბანკის აქციონერთა და დამფუძნებელთა გადაწყვეტილებისა, აქციების მეორე ხვედრი ფული—აქციის ღირებულების 40%, ესე იგი, თითო აქციაზედ ასი (100) მან. შემოტანილ უნდა იქმნეს ამა წლის 10—20 მაისამდე.

ფული მიიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის

**თბილისში**—სამეურნეო ბანკში (სასახლის ქუჩა № 6). **ბაქოში**—ნავთის მრეწველის ნ. ი. ჯაყელის კანტორაში, (ოლგას ქ. № 5). **კვავში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში. **სიღნაღში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში. **გორში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში. **ყარსში**—ი. ქლენტის აფთიაქში. **ერევანში**—დ. ზ. სარაჯევის კანტორაში, გამგე თ. ვას. გ. ამილახვართან. **დუშეთში**—ვლადიმერ ახალშენიშვილთან. **ქუთაისში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში. **სოხუმში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში. **ჭიათურაში**—ნ. პაპავას კანტორაში, ქ. გრიგოლაშვილთან. **ბათომში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში, **ყვირილაში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში. **ფოთში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში. **ხონში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში. **სამტრედიაში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში. **ოზურგეთში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში. **ონში**—დავით კერესელიძესთან.

ვისაც აქციების ათი პროცენტი, ესე იგი, თითო აქციაზე 25 მან. შემოტანილი აქვს, ის ვალდებულია გამოცხადდეს 10—20 მაისამდის დანიშნულ ადგილებში, წარმოადგინოს დროებითი კვიტანცია და მიიღოს ზემოთ მოხსენებულ პირთაგან კომიტეტის შესაფერი საბუთები. მიღებული ფული **თითო აქციაზე 100 (ასი) მან. უნდა გაეგზავნოს თბილისში, ვოლგა-კამის ბანკში,** (ლორის მელიქოვის ქ. საკუთარ სახლში) სხვა ქალაქებში **ვოლგა-კამის ბანკის** განყოფილებებში, ან ამ ბანკის რწმუნებულებთან. სავაჭრო სამრეწველო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტის სახელზედ გახსნილი არის თბილისში ვოლგა კამის ბანკის განყოფილებაში **ცალკე მიმდინარე ანგარიში № 1592.**

ვისაც სურს შეიძინოს ახალი აქციები, უნდა შემოიტანოს აღნიშნულ პირებთან თითო აქციაზედ 126 მან.

მისამართი მთავარი ბიუროსი
**თბილისი, სამეურნეო ბანკში**
სასახლის ქ., სახ. სარაჯევისა

**ფულის გამოგზავნა ფოსტით შეიძლება ამ ადრესით:** Тифлисъ, Сельскох. Банкъ. Директору Парѳену Александровичу Готуа.

**ადრესი ტელეგრამისათვის:** Тифлисъ, Кавказбанкъ.

**კავკასიის სავაჭრო სამრეწველო ბანკის
საორგანიზაციო კომიტეტი.**

**დვინის ასპარეზი**

აპრილის შესანიშნავ ომების შემდეგ, მთელს რიგა-დვინის ასპარეზზე ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. მაგრამ ბოლო ხანებში რუსებმა პირველად დაარღვიეს სიმშვიდე და სვენტენის უბანში გერმანელების თხრილებში შეიჭრნენ. საშინელი საარტილერიო ბრძოლაა ქ. ილუქსტთან. მთელი ქალაქის მიდამო და ბრძოლის პირი გამაგრებულია თხრილებით და სხვა სიმაგრეებით. ილუქსტიდან ხალხი იხიზნება და ქალაქი თითქმის სულ დაცარიელდა.

**გერმანელები იქსკიულის მიდამოებში**

„რუსკ. ინვალიდი“ სწერს: იქსკიულის და ილუქსტის მიდამოებში გერმანელებმა საარტილერიო ბრძოლა გააჩაღეს. ბოლო ხანებში მათი ყურადღება რიგა-დვინის რკინის გზაზედ არის მიქცეული. ამ ადგილებს მათი მფრინავები ყოველდღე ყუმბარებს უშენენ.. რაც შეეხება ასპარეზის შუაგულ ნაწილს, იქ სრული სიწყნარეა. პრიპიატის სამხრეთით სანაღმოსნო ბრძოლა და წვრილ წვრილი შეტაკებაა. ზემო და ქვემო სტრიპაში ისევ სიმშვიდეა. უკანასკნელ ხანებში გერმანელები ხმარობენ ახალი ყალიბის ტყვიის მფრქვეველს, რომელიც ჩარიგებულია მოწინავე თხრილებთან. ავსტრიელებიც მუდმივ მოქმედებაში არიან და ყოველდღე აკეთებენ ახალ სიმაგრეებს.

**კავკასიის ასპარეზი**

უკანასკნელ მოსულის ცნობით რუსთა რაზმები დიარბექირის, მოსულის და ბაღდადის მიმართულებით მოქმედებენ. ბრძოლის ხაზები დაშორებულია 100—150 ვერსის მანძილზე და რასაკვირველია ერთიან შეტევას ვერ შესძლებენ. ახალი მოსული არა ოფიციალი ცნობის მიხედვით რუსების ერთი რაზმი შეუერთდა ინგლისელების ჯარს. ჯერ ჯერობით არ არის გამორკვეული თუ სად მოხდა ეს შეერთება. უფრო შესაძლებელია შეერთების ადგილად კუტ-ელ-ამარის მიდამოები ვიგულისხმოთ, მოსულის მიმართულებით რუსებმა წინ წაიწიეს და დღეს სწორედ იქ იმყოფებიან, სადაც ორი ათასი წლის წინედ ალექსანდრე მაკედონელმა სპარსეთის ძალა შემუსრა.

კავკასიის ასპარეზზე მალე დიდი ამბებია მოსალოდნელი აზრუმის დასავლეთ მიდამოებში და ბაიბურთის მიმართულებით. გერმანელებმა დიდძალი იარაღი მოაშველეს. ოსმალები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ. ჯერ-ჯერობით ოსმალთა უმთავრესი ძალები ჰანეკენთან გროვდება; თურქები მხნედ მოქმედებენ. მთავარ-სარდლად სტამბოლიდან დანიშნულია სპარსელი ნიზამ-სალთანე, ხოლო თანაშემწედ გერმანელი პოლკოვნიკი ბონი, რომელიც მოქმედების ფაქტიურ გამგეთ უნდა ჩაითვალოს.

**ენვერ-ფაშა.**

სტამბოლიდან მოსული ცნობით, ენვერ-ფაშა, გერმანელ აფიცრებიდან შემდგარ შტაბით, ბაღდადისაკენ გაემგზავრა, რომ ინგლისელთა და რუსების შეტევას მესოპოტამიაში გაუმკლავდეს და მით ბაღდადი სახიფათო მდგომარეობიდან იხსნას. ამის შემდეგ ენვერ-ფაშა ანატოლიაში გაემგზავრება, რომ რუსების წინ სვლა შეაჩეროს. ამ ადგილებში რუსთა გამარჯვებამ ახალგაზრდა ოსმალნი საფიქრებელში ჩააგდო და ყოველივე ღონეს ილონებენ მდგომარეობა გააუმჯობესონ.

**რუმინეთის მდგომარეობა.**

ბალკანეთზე ორი სახელმწიფო-ღა დარჩა, საბერძნეთი და რუმინეთი, რომელნიც ჯერ-ჯერობით მსოფლიო ომში არ ჩაბმულან. ორთავ მოპირდაპირე მხარე ცდილობს თავისკენ მიიმხროს ეს სახელმწიფოები და მით მდგომარეობა გაიუმჯობესონ. ამ ორ სახელმწიფოთა შესახებ „უტრო როს.“ სწერს: საბერძნეთი და რუმინეთი უკვე შეაიარაღა გერმანეთმა და მის ზეგავლენას განიცდის. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რუმინეთი. სერბეთის დაპყრობის შემდეგ რუმინეთი მოსწყდა მოკავშირეთ და იძულებული გახდა გერმანეთისათვის მიემართა, რადგანაც მას სამრეწველო საგნები ესაჭიროებოდა, გერმანეთს თავის მხრივ პური უნდოდა. ამ მდგომარეობას მოჰყვა გერმანეთ-რუმინეთის შეთანხმება ეკონომიურ ნიადაგზე, რასაც შეიძლება პოლიტიკური ხელშეკრულება მოჰყვეს.

რუმინეთი გერმანეთს 200.000 ვაგონ ხორბალს აძლევს, ხოლო გერმანეთი 2.000 ვაგ. სხვა და სხვა საქონელს.

გერმანეთ-რუმინეთის შეთანხმება საშიშო არ იყო, რომ მათ არ შეჰკროდათ ამგვარივე კავშირით ოსმალეთი და ბულგარეთი. ამ გვარად დღეს რუმინეთი გერმანეთის ბადეშია გაბმული და მოკავშირენი ამ მოვლენას ყურადღება უნდა მიაქციონ.

**რუმინეთის ხორბალი.**

ავსტრია-გერმანეთ-რუმინეთის ხელშეკრულობამ დიდი ნაყოფი გამოიღო. რუმინეთი დიდძალ ხორბალს გზავნის გერმანეთში; ყოველ დღე 3.000 ვაგონი მიდის.

**ჰოლანდია.**

„Times“-ის კორესპონდენტი როტერდამიდან იტყობინება: ჰოლანდიიდან გერმანეთში რკინის გზით დიდძალი ოთხფეხი საქონელი იგზავნება. დღეში სულ ცოტა ორი ათასს ძროხას ერეკებიან. საქონლისათვის გერმანეთს საიალაღო მინდვრები დაუმზადებია.

## ბრძოლის ველზე

ვერდენის გარშემო ხელ-ახლად ალაპარაკდა მთელი მსოფლიო. გერმანელებს გააფთრებული იერიშები მიაქვთ მდ. მაასის დასავლეთით. უდიდესი სიძნელე თითქმის მთლად გადალახულია. მორტჰომის სიმაღლე, რამდენადაც ბილიუტენების ცნობიდან სჩანს, თითქმის მთლად აღებული უნდა იყოს. დღეს ჯერი მიმდგარა კიუმიერზე. დიდი მსხვერპლის შემდეგაო, ნათქვამია დღევანდელს მოხსენებაში, გერმანელებმა აიღეს სოფელი კიუმიერი. რაც შეეხება „304“ მაღლობს, ესეც დაპყრობილია კალთებით, მხოლოდ მწვერვალი წარმოადგენს ორთავე მხრის საარტილერიო ცეცხლის ზონას. სამაგიეროდ ფრანგებს თვისი მხრით იერიშები დაუწყვიათ აღმოსავლეთით. დაიბრუნეს ზოგიერთი ადგილები. სხვათა შორის დუომონის ფორტის სექტორის მეტი ნაწილი ხელთ იგდეს, თუმცა გერმანელებმა კონტრიერიშით შეუტიეს და ფრანგები საგრძნობლად დააზარალეს. ამ სექტორში ბრძოლა სასტიკი ხასიათით სწარმოებს და მის დასრულებაზე ჯერჯერობით ნაადრევია ლაპარაკიო.

იტალიის ფრონტზე ავსტრიელები კვლავ წინ იწევენ. იტალიელნი, დეპეშის სიტყვით „მწყობრად და წესიერად იხევენ უკან“.

საზოგადო ბრძოლის გამკაცრებას ჰყვება პოლიტიკური ცვალებადობაც. მორიგ საკითხად რუმინეთის გამოსვლაა, მაგრამ დღემდე მისი სიმპატია-ანტიპატია მხოლოდ გამარჯვებულის ეტლს მისდევს ფეხდაფეხ. ამ უკანასკნელს ხანებში ბევრს ლაპარაკობენ მის გამოსვლის შესახებ, ოპტიმიზმი და პესსიმიზმი მოკავშირეთა შორის გაუგებარსა ჰყოფს მდგომარეობის ვითარებას. მაგრამ რითაც არ უნდა გათავდეს იგი, ერთხელ და უკანასკნელად რუმინეთს შეუძლიანთ მებრძოლ მხარეებმა შეუთვალონ ერთი მგოსნის სიტყვები: „A vaincre tans péril on triomphe zans gloire“.

კავკასიის ფრონტიდან საგულისხმიერო არა მოსულა რა.

X.

**თბილისი, 13 მაისი**

**სომეხთა ყრილობა** პეტროგრადში სომეხთა ყრილობა დაიწყო. ამის შესახებ ჩვენი პეტროგრადელი კორესპონდენტი გვწერს—სომეხთა ყრილობას სატახტო გაზეთები მხურვალედ შეხვდნენო. გაზეთები სწერენ—სომხეთის მსხვერპლი აჭარლების ბელგეთისა და სერბეთის მიერ გაღებულ სხვერპლს და რუსეთის მოვალეობაა სომხეთის ჭრილობას მალამო დასდოსო. სამართლიან მწუხარებას გამოთქვამენ, რომ სომეხთა ყრილობის მუშაობა მეტად შეზღუდეს. მთავრობის განკარგულებით ყრილობა შეეხება მხოლოდ გამოქცეულ სომეხთა საკითხს. გამოქცეულთა საკითხით დიდად არის დაინტერესებული სომხის საზოგადოება, მთავრობა და თვით ფართე საზოგადოებაც, მაგრამ მხოლოდ მის გასათვალისწინებლად სომხები საერთო ყრილობას არ მოიწვევდნენ და ევროპის სახელმწიფოებიდან თავის თანამემამულეებს და თანაგრძნობებს არ მოიპატიჟებდნენ. ყრილობას უფრო ფართე მიზნები ჰქონდა დასახული. მას უნდა გაეშუქებინა სომეხთა საკითხი.

ამ ომის განმავლობაში სომხების მომავალ ბედზე მარტო სომხები არ სწერდნენ რუსეთის თუ ევროპის პრესა, და თვით მეომარ სახელმწიფოების წარმომადგენელნიც სომეხთა მომავალ პოლიტიკურ მდგომარეობას დიდის ყურადღებით იკვლევდნენ. დაიწერა მრავალი პროექტი მომავალი სომხეთის შესახებ. ამ პროექტებს არჩევდნენ პრესაში და საკანონმდებლო დაწესებულებებში. მომავალი სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება და საზღვრებიც მომავალი სომხეთისა სავსებით ვერ გამოირკვა მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის შესახებ გამუდმებით სწერენ სომხის გამოცემები და თვით ლიბერალი პრესის ისეთი წარმომადგენელნი, როგორიცაა მილიუკოვი და. სხ. ბევრი იმ აზრს გამოსთქვამდა, რომ მომავალი სომხეთი, რომელშიაც შევიდოდა კავკასიის, ოსმალეთის და სპარსეთის სომხობა, უნდა შესულიყო რუსეთის იმპერიაში, როგორც ავტონომიური ერთეული. ბევრი კი მოითხოვდა სომხეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადაქმნას და რუსეთთან ვასსალურ დამოკიდებულებაში დარჩენას. მომავალ სომხეთის საზღვრებიც ამ პროექტებში ერთნაირად არ იყო აღნიშნული. სომხის პუბლიცისტები მოითხოვდნენ, რომ მომავალ სომხეთს ორი გასავალი ზღვა ჰქონოდა—ხმელთა შუა ზღვა ალექსანდრეტას ნავთსადგური და შავი ზღვა ლაზისტანის სანაპიროებით. რასაკვირველია, ამ ფარგლებში სომხობა დიდს უმცირესობას შეადგენს და თვით სანაპიროების მომავალ სომხეთის ფარგლებში შეტანას ასაბუთებდნენ სომხეთისთვის ორი ზღვის უაღრეს საჭიროებას. ჩრდილოეთით სომხეთი კავკასიონის ქედის კალთებს უნდა მიყრდნობოდა. სხვები არ უარყოფდნენ მომავალ სომხეთისთვის ორის ზღვის

# საეროვნო თათბირი

## და სომეხ-ქართველთა ურთიერთობა

(შემდეგი. იხ. „საქ. № 105)

ერის არსებობის და განვითარების აუცილებელს საჭიროებას შეადგენს უმთავრესად ასპარეზი მისი მოქმედებისა—ტერიტორია ერისა, სალსარი მოქმედებისა—ენა და ერის ფიზიკური და გონებრივი ძალა-ენერგია, მისი კულტურული პიროვნება. მთელი კრებული საუკუნეებით შექმნილ ზნე-ჩვეულებათა, გემოვნება, შრომის წესი, საზოგადოებრივი დარაზმულობა და სხვა. ამ განძის შესანახათ და დასამუშავებლად საჭიროა ისეთ პირობათა შექმნა, სადაც ერი თავის თვითმოქმედების ძალას სვლას მისცემს, შემოქმედებითს უნარს გამოიჩენს. ამავე დროს ამ დიდ საქმეში მას ესაჭიროება ქომაგი და მესვეური კლასი. უმთავრესად ამ მოვლენაში დაინტერესებულია დემოკრატია, რომელიც საბოლოო პატრონია ეროვნული ქონებისა. ვნახოთ ახლა რა ღვაწლი და სამსახური დასდო ამ საქმეში სომხობამ ქართველ დემოკრატიას, რომელთან კავშირის დაჭერაზედ ასე ურცხვად და მოურიდებლად ლაპარაკობენ დოლუხანოვ-სემიონოვები. რასაკვირველია, რაიმე პატრონობის, უკეთ დაპატრონების ზრახვით შემოსვლა სომხობისა შეიძლებოდა მაშინ, როცა ქვეყანას საკუთარი ბატონ-პატრონი აღარ ჰყავდა. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, როცა ქვეყანას თავის თავი თვითონ ებარა, ყოველ შემოსულ ძალას თავისი ადგილი და დანიშნულება ჰქონდა. ქვეყანა თვითონ იყო გამგებელი და ყოველივე ძალას, შეძლებისა და შეგნებისა გვარად, სახელმწიფო ინტერესებს უმორჩილებდა. ჩვენში სომხების აქტიური და ნამდვილ სომხური მოქმედება დაწყებულა მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. საქართველო მთელი თავისი სულიერი და ნივთიერი ავლადიდებით: რომელიც საუკუნეების განმავლობაში შექმნილა, დიდ სახელმწიფოს მოქმედების ფარგალში გადავიდა და, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, მძიმედ დააწვა რუსეთის იმპერიალიზმის უღელი. შეიქმნა განსაკუთრებული მდგომარეობა. თავად-აზნაურობიდან გამოსული რუსის მმართველი მოხელეები მოვაჭრე და მევახშე სომხებს ამრეზით უყურებდენ, ახლოს არ იკარებდნენ და არც სამსახურში წყალობდენ, სამაგიეროდ მოქმედების და პარპაშის დიდს თავისუფლებას აძლევდენ, სხვის ქონებას უხვად ურიგებდნენ. შეიქმნა რაღაცა იდუმალი კავშირი სომხებსა და მთავრობის წარმომადგენელთა შორის და პირველთა ფაქტიურ სურვილებს მეორენი სახელმწიფო წესით იურიდიულად განამტკიცებდენ ხოლმე.

ვიცით სამწუხარო ამბები, აღარ გვინდა მათი განმეორება, იმის შესახებ თუ ყოველ ომს ოსმალეთისას, რომელიც ჩვენგან დიდს მსხვერპლს იწირავდა და დიდი ზარალი მოჰყვებოდა ხოლმე ჩვენი ეროვნული საქმისთვის, თითქმის ყოველთვის მრავალი ქართველობა იძულებული ხდებოდა სამშობლოს კერას მოჰგლეჯოდა და უცხოეთ ოსმალეთში გადახიზნულიყო. მათ კერას სომხობა იჭერდა ყოველთვის. მამულს შორდებოდა ხალხი, რომელსაც ზედ ევლო თავის ცხოვრება, თავისი ისტორიული სახე და შიგ ჩაეყარა თავისი ჯიგარი. სამაგიეროთ გადადიოდა მამული მოსულთა ხელში, რომელსაც ყოველივე ეს მუქთად ეძლეოდა. შედეგი ერთი იყო. ქვეყანა, რომელთანაც არ აყო შეერთებული სიყვარული, რომელსაც მამა პაპათა ჩანთხეული სისხლი და ჩაყრილი ძვლები ფასს არ აძლევდენ, ვერანდებოდა. ხალხი, რომელთაც კულტურის შემოტანას გვაყვედრის (თამბაქოს კულტურა შავი ზღვის ნაპირეზე თურმე სომხობას შემოუტანია! „ორიზონი“) რატომ ერთხელ არ ჰკითხავს თავის თავს, თუ რა უყო ამავე სომხობამ ახალ-ქალაქ, ახალ-ციხის მაზრას? ერთხელ წალკოტი ქვეყანა, საუცხოვო ტყეებით დაბურული სრულიად მოატიტვლა და ტოპოგრაფიული სახე იქამდის შეუცვალა, რომ დღეს უკვე საშიში ხდება მთელი ქვეყნის მდგომარეობა. გაჩეხილ ადგილებში სინესტემ იკლო, სადავენი საკმაო წყალს ველარ იძლევიან და გახრიოკებული ქვეყანა ნაკადს ველარ იკავებს და ირეცხება. ხრიოკ სამხრეთიდან მოსული ხალხი კალიასავით მოედო მდიდარ მიდამოებს. რა დაუშლიდა გამანადგურებელ საქმეში? ვინ გადაეღობებოდა წინ? მთავრობა ნებას აძლევდა, რაიმე სამეურნეო ორგანიზაცია, ერობა იყო თუ სხვა რამ არსად გახლდათ. რომელი ისტორიული თქმულება, „ხატის პატრონობა“, ხსოვნა განსაცდელის დროს თავის შეფარებისა და მით გამოწვეული სიყვარული ტყისა, უძლიერესი გრძნობა მამა-პაპათა საფლავის პატივისცემისა შეაჩერებდა მოსულის მიერ მმუსრავ აღებულს ცულს? დღესაც არ შეჩერებულა ეს პროცესი. დღესაც ვერ დაუყრია ჯიგარი. ვერ დამისახელებთ ვერც ერთ სომხის სოფელს, რომელსაც იმდენივე წლის არსებობა ჰქონდეს, რამდენიც სოფლის დამარსებელთა მოსვლიდამ გასულიყოს. ვინა ზარალობდა ამით ქართველი თავად-აზნაურობა თუ ქართველი დემოკრატია? ერთიც და მეორეც მხოლოდ დიდის განსხვავებით. პირველი—როგორც მხოლოდ დროებითი ძალა, დროებითი მომვლელი ამ სიმდიდრესი, მეორე კი მუდმივი და უზენაესი მესაკუთრე. რომელსაც როგორც პირადი კეთილდღეობა და ცხოვრება, თუ ერის ბედნიერება ამაზედ უნდა აეშენებინა. ვის მოაკლდა ის რამდენიმე ასი ათასი ქართველობა, რომელიც სამშობლო კერიდან გადაიხიზნა? ნუ თუ სწორედ იმ ქართველ დემოკრატიას, რომელსაც ასე დასტირიან ხატისოვ-დოლუხანოვები არ ჩამოაჭრეს მარჯვენა და მათი გადასახლებით არ ჩამოაცილეს უდიდესი ძალა ეროვნულ კულტურის შებოჭვით. რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, რომ ჩვენ კულტურულ მოქმედებას მეტი ფარგალი და ასპარეზი ჰქონდეს, ჩვენ პრესას, ჩვენ წიგნს დიდი ბაზარი და მეტი მკითხველი ჰყავდეს, ქართულ სიტყვას მეტი გამგონი, ქართულ საქმეს მეტი გულშემატკივარი და მოამაგე? ყველაფერი ეს, ასეთი აუცილებელი მოვლენა წარმართებისათვის ვის მოაკლდა თუ არა ქართველ დემოკრატიას? ვინ დარჩა ცალხარა ირმათ, უმწეოთ, ძმა მოშორებული, დოვლათზე ხელ აღებული თუ არა ქართველი ხალხი, ქართველი დემოკრატია?

აი ასეთი იყო პირველი ნაბიჯი გადმოდგმული უფლება ახდილ საქართველოში სომხობის მიერ.

ნაბიჯი მეტად მძიმედ, დიდად დააჩნდა ქართველ ხალხს, ნამეტნავად ქართველ დემოკრატიას.

საუკუნეთა განმავლობაში მრავალ თაობათა ტანჯვით და ოფლით შექმნილ საუნჯიდამ, რომლის პატრონობას და განვითარებას მოითხოვდა ერის ცხოვრება, მისი პროგრესი—გამოიღეს სამირკვლის ქვა, შენობა ხაშიშ ყოფაში ჩააგდეს.

აი ამგვარად შემოვიდა სომხობა საქართველოში, ამ გზით ჩაიგდო ბორჩალო-ჯავახეთი ხელში. ამ გზით შეიხიზნა შავი ზღვის ნაპირებზედ. მათი მოსახლეობა რკალივით შემოეკრა საქართველოს. ტერიტორიალური ლტოლვილებანი ამით არ განისაზღვრა. შუაგულ საქართველოში სომხობა უკვე კერძო მესაკუთრეთა სახით შემოვიდა და შეიტანა შიგ შრომის და მფლობელობის ისეთი წესი, რომელიც მართლა რომ საშუალო საუკუნეთა წიაღში აგდებს ჩვენ ქვეყანას, აქვეითებს ჩვენ მეურნეობას, უხშობს ჩვენ სოფელს ყოველგვარ განვითარების და წინმსვლელობის საშუალებას. რაც უფრო საინტერესოა ამ დამღუპველ როლს ქართველი ხალხის წინაშე ეწევა სწორეთ ის მოქალაქეობა, რომელსაც იშხანიანები და დოლუხანოვ ხატისოვები „განმათავისუფლებელ მისიას“ აკისრებენ ქართველი ერის წინაშე.

მოგეხსენებათ, რომ შინ შემოსული სომხობა დაბა ქალაქებში დაბინავდა და აქედამ იწყო ნავარდი. მან მიჰყო ხელი ვაჭრობას და მევახშეობას. არსებითად და უმთავრესად კი მეორეს, რადგან მათი ვაჭრობაც მევახშეობაზედ იყო დამყარებული. მეცხრამეტე საუკუნეში, რუსეთის ბატონობის დროს, გამეფდა და გაძლიერდა ის წესები, რომელიც ქართველი ხალხისგან დაგმობილი იყო უკვე მეთორმეტე საუკუნეში და რომლისგანაც დახსნის აუცილებლობის შესახებ გარკვეული აზრი ტრიალებდა ქართველ საზოგადოებაში.

რა შედეგი მოჰყვა ამას—ყველამ უწყის. სოფელი დავადიანდა, გლეხი „ფულის“ პატრონის ყმა გახდა, რომელსაც მეორე განთავისუფლება, ბერძნული „სეისახთეია“ ეჭირვება. მამულის ხელიდან წასვლასთან და დავალიანებასთან დავალიანდა და დამონავდა შრომა ყოველივე დოვლათის შემქმნელი, ეს აუცილებელი და ერთად-ერთი შემქმნელი პროგრესისა. მარტში ჰინახულის დაკვეთით აღებული ვალი „ნათლიმამისაგან“ ჩვენი სოფლის მწარმოებელ ძალას ბატონყმობის გადავდების შემდეგ, ახლა ახალ ბატონს უმონავდება, ეროვნულ შემოქმედებაზე ეს მომაკვდავ გავლენას ახდენდა. ჯერ რა დუნეთ მიდიოდა ეროვნული წინ სვლა შრომის ტყვეობის დროს, ახლა ხომ სულ შეჩერდა. წინად თუ ქართველ თავად-აზნაურობას რჩებოდა რამე, ის ამ მონარჩენს ბუნებრივად ეროვნულ შემოქმედებას ანდომებდა: აშენებდა ეკლესიას, იძენდა ნივთს, აწერინებდა წიგნს, მიდიოდა ქართულ თეატრში, გაჰყავდა გზა და სარწყავი არხი, ხელს უწყობდა ქართულ საქმეს და ამით ეროვნული განვითარება წინ მიდიოდა. შრომის განთავისუფლებით რა აჩქარებულის ნაბიჯით უნდა წასულიყო ჩვენი ეროვნული ზრდა—ეს ყველასათვის ადვილი წარმოსადგენია, ვინც ოდნავ იცის თანამედროვე ხანის ისტორია. მეურნეობის შეცვლით უნდა ამოძრავებულიყო ქართველი ხალხის სიმდიდრე და ეროვნულ ზრდას გვირგვინოსანი სვლა უნდა მიეღო.

არ მოხდა ეს, მიტომ რომ ქართულ ეროვნულ ტრადიციას და საუნჯეს მეურნეობის შეცვლის პროცესის დროს თავისი ღვიძლი ქომაგ-მოსარჩლე, გულშემატკივარი პატრონი არ გაუჩნდა და მით ნორმალური გზა ქართველ ხალხს გაეხირა. ნაჩვენებ ანორმალურ გზით შემოსული სომხის მოვაჭრე თავისებურ მემკვიდრეობას უწევდა საუკუნოებით, ქართველის ოფლითა და სისხლით ნაჭედს, ნიჭით და რწმენით განმტკიცებულს საქართველოს დოვლათს.

ყურები გამოგვიჭედეს, ქვეყანა დაარწმუნეს სომხობას მრეწველობით—განმავითარებელი, სამეურნეო განათ-

საჭიროებას, მაგრამ შიშ გამოთქვამდენ, სომხეთის საზღვრების ხმელთაშუა ზღვამდის მიყვანა დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის უთანხმოებას გამოიწვევსო და მილიუკოვის პირით ურჩევდნენ სომხებს—დაკმაყოფილდით შავი ზღვის სანაპიროებით, ლაზისტანითო. ასე შეუთანხმებელი იყო სომხური პოლიტიკური აზროვნება და სომეხთა მეგობრების აზროვნება მომავალი სომხეთის სახელმწიფოებრივი ფარგლებისა და წყობილების შესახებ. პეტროგრადში მოწვეულ ყრილობას შეეძლო ამ კითხვების გამორკვევა, ჩამოყალიბება და დაინტერესებულ საზოგადოებათ საშუალება მიეცემოდათ სომეხთა ერთ პროგრამა თან ჰქონოდათ საქმე. სამწუხაროა, რომ მთავრობამ ყრილობის მუშაობა გამოქცეულთა საკითხით განსაზღვრა და მით მოუსპო საშუალება ყრილობას გარკვეულ ფორმებში გამოეხატა სომეხთა ლტოლვა-მისწრაფებანი.

ბ. ვოდოვოზოვი „ბირჟევია ვედომოსტში" თურმე წინადადებას აძლევს ყრილობას გამოქცეულთა საკითხს სომეხ-ქართველთა უთანხმოების საკითხიც დაუკავშირონ. „პოლიტიკის წყალობით განწვავებულ დამოკიდებულების გამო ქართველები თანაგრძნობით არ ეკიდებიან გამოქცეულ სომხებსო", გადმოგვცემს ჩვენი კორესპონდენტი ვოდოვოზოვის სიტყვებს. თუ რაში გამოიხატება ქართველების უთანაგრძნობობა გამოქცეულთა მიმართ, ამის შესახებ პატივცემული ავტორი არაფერს ამბობს. იქნებ სომეხთა ყრილობამ მაინც იქონიოს მსჯელობა ქართველ-სომეხთა ამ უთანხმოების შესახებ. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ამ საკითხის შესახებ სომხის რომანტიკოსებისა ჲ მათი მეგობრების, მილიუკოვ-ვოდოვოზოვების მსჯავრი ისეთივე საფუძვლიანი და მიუდგომელი იქნება, როგორც ის დღემდე ყოფილა სხვა და სხვა საკითხის შესახებაც!!

## ქართული პრესა

„თანამედროვე აზრი" ვრცელ წერილში „სადეკორაციო შირმა" ასე ახასიათებს თბილისში მომხდარ საერობო თათბირს:

„როგორც მკითხველმა იცის, თბილისის საერობო თათბირზე თავი მოუყრია საქართველოს თავად-აზნაურობას. მუსულმანთა ბეგებს, სომხის ბურჟუაზიას და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს.

არც ქართველებს, არც სომხებს და არც მუსულმანებს აქ არ ჰყავთ ისეთი წარმომადგენლები, რომლებმაც ნათლათ, გარკვეულათ და ნამდვილად გამოხატონ ხალხის ინტერესები და ჭირ-ვარამი ერობის საკითხში.

ისეთი პირებისაგან, რომელნიც საერობო თათბირში მონაწილეობას იღებენ, რასაკვირველია, ჩვენ არაფერს მოველით. გაბატონებული კლასები ყოველთვის თავის საკუთარ ინტერესებზე იზრუნებენ, დემოკრატიას ზურგს შეაქცევენ და მის ალაგმვასაც შეეცდებიან.

საერობო თათბირზე ეს ასეც ხდება. ქართველი თავად-აზნაურობა ერთსულოვნათ და მწყობრათ მოქმედებს. ის გადაჭარბებული ერთგულებით არის შეპყრობილი. ის დიდათ მოწადინებულია დაიბრუნოს ძველი დროის პრესტიჟი და აგრძნობინოს ადგილობრივ მთავრობას თავისი წინანდელი ძალა. ის დიდათ ფაფხურობს, ლიტანიებს აკეთებს და ცდილობს მოწყალება დაიმსახუროს.

თავის წადილს ჩვენმა ბრწყინვალე წოდებამ ვითომ კიდეც მიაღწია. მუსულმანების ბეგებმა, რომელნიც არ არიან ისე გაწვრთნილნი და „კულტუროსანნი", როგორც ჩვენი თავადები, ჰეგემონია ამ უკანასკნელთ დაუთმეს.

ქართველთა და მუსულმანთა თავად-აზნაურობამ შეკრეს ბლოკი. ისინი ერთსულოვნათ იცავენ წოდებრივ პრივილეგიებს და ამავე დროს ერთნაირი ხალისით ივიწყებენ გლეხ-კაცობის ინტერესებს."

ამ რიგად საერობო თათბირის მუშაობას ბევრნი იწუნებენ, თათბირზე თავად-აზნაურულ პრივილეგიების დამცველი არ გამოსულან თვითონ აზნაურები, როგორც ოქმები გვეუბნება. მიუხედავათ ამისა თათბირის დიდმა უმრავლესობამ, რომელშიაც შედიოდა არა მარტო თავად-აზნაურობა, არამედ ყველა წოდების და საზოგადოების წარმომადგენელი და წმინდა წყლის გლეხებიც, თუმცა ისინი ცოტანი იყვნენ, მიიღეს რუსეთში მომქმედ ერობის უმთავრესი საფუძვლები, ვინაიდან თათბირის უმრავლესობა იმ აზრის იყო, რომ რაც რუსეთში თავისთვის შემოუღიათ, იმაზედ უკეთეს ჩვენ არავინ მოგვცემსო. რუსეთში მომქმედ ერობის მიღების წინააღმდეგ ამხედრდა მთელი სომხობა და იქნებ ერთი თუ ორი ბ. კან-ის მზგავსი „სადეკორაციო შირმის" მაძიებელნიც. ყველა ესენი „დემოკრატობით" ასაბუთებდნენ რუსეთში მომქმედ ერობის უარყოფას. ხატისოვ-დოლუხანოვ-ბერბეროვები—მსხვილი ბანკირები და მსხვილი მემამულეები ქართველი დემოკრატიის ინტერესებზედ ბევრს ლაპარაკობდნენ და რასაკვირველია ქართველი ხალხი მათს გულწრფელობას დააფასებს. რაც შეეხება ბ-ნ კან.-ებს ისინი განა გულწრფელად არიან წინააღმდეგი იმ ერობისა, რომელიც რუსეთში ნახევარი საუკუნე მოქმედობს და რუსეთის სოფელი ქონებრივად და გონებრივად აღამაღლა? თუ რუსეთის მივარდნილ სოფლებში მოიპოვება სკოლები, საავადმყოფოები, სამეურნეო საწყობები და წესიერი გზები, ყოველივე ეს იმ ერობის საქმეა, რომლის წინააღმდეგ ამხედრდენ სომხები და ბ. კან.-ები. სომხები რომ ამ ერობის წინააღმდეგი არიან, ეს გასაგებია. ქართველი ერის ქონებრივად მოღონიერება მათ კარგს არა უქადის. მაგრამ აპატიებს ქართველი დემოკრატია „დემოკრატიულ შირმების" გულისთვის ერობის წინააღმდეგ ამხედრებას იმ ვაჟბატონებს, რომელნიც ყოველთვის ხალხის ინტერესებზედ სწერენ?

ლება შემოაქვს ქართველ ხალხში. ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ვერ დაგვისახელებენ ვერც ერთს საქმეს, ვერც ერთ კეთილ მოვლენას, ვერც ერთს სამრეწველო წარმატებას რომელიც მისულ სომეხს ჩვენი ხალხის საკეთილდღეოთ შეეტანოს. პირიქით ხანა მათი ბატონობისა არის ხანა მეურნეობის დაქვეითებისა, სისტემატიური შიმშილობისა. ოროქლის და ელექტრონის ძალა მხნე და ნიჭიერ ხალხში ლუკმის არ ქონით არის ალბეჭდილი დრო სწავლასა და საჭირო ცოდნათა უზომო გავრცელებისა დუქან-სამიკიტნოების გამრავლებით. ყველა ამ რეტროგრადულ მოვლენას პიონერობდა სომეხი ვაჭარი, სოფელში წურბელას სახელით მონათლული. არსად იყო ძალა, რომელიც წინააღუდგებოდა მას. ეროვნული ბურჟუაზია არსად სჩანდა. მის შექმნა იმავე მიზეზების გამო შეუძლებელი შეიქმნა სომხობამ მევახშეობის წყალობით დაჰკეტა სოფელი და მესამე წოდების აღმოცენას ხალხის—გლეხობის წიაღიდამ გადაუვალი ზღუდე აუშენა. თავად-აზნაურობა ისტორიული ტრადიციის და რუსეთის მთავრობის პოლიტიკის წყალობით სხვა გზას დაადგა და სხვა მხრივ მიმართა თავისი ენერგია. ბური და მოედანი სომეხს დარჩა და მისი კლასობრივი ინტერესი მოითხოვდა მოედანი მოსუფთავებული ყოფილიყო, ხელის შემშლელი არავინ ჰყოლოდა. **აქედამ მისი წარმოუდგენელი რეაქციონული როლი ქართველი დემოკრატიის და ქართველი ერის წინაშე,**

დღეს, როდესაც დაიწყო მხნელი კოოპერატიული მოძრაობა, როდესაც ქვეყანა მწარმოებელ და მომხმარებელ ამხანაგობებით მოიფინა — აშკარად დაეტყო ჩვენ სოფელს კლასობრივი **დარაზმულობა, აეხადა ფარდა ამ საშინელ სიმართლეს და ანტაგონიზმი** სწორედ ეროვნულ ფარგალში მოგვევლინა. კოოპერატიულ მოძრაობაში ჩვენ ერთ მხრივ ვხედავთ ქართველს ყველა წოდებისას, ქართველს ეკონომიურად დაჩაგრულს--მეორე მხრივ მჩაგვრელს.

პირველი არის ძალა პროგრესიული მეორე ძალა რეაქციონური. ყოველივე მოვლენა, თვითმოქმედების გაფართოვება, თვითშემეცნების შეტანა, ცოდნისა და თანამედროვე იარაღის გავრცელება საჭირო და უცილობელი მოვლენაა პირველისათვის, ხოლო სიკვდილია მეორესათვის.

ერობის შემოღება, მეურნეობის საქმეში თვითმართველობის შემოტანა ფართო სარბიელს მისცემს ეროვნულ ძალებს, საიმედო იარაღით აღჭურავს დაწყებულ ეროვნულ მოძრაობას ეკონომიურ ნიადაგზე კოოპერაციათა და სხვა და სხვა დაწესებულებათა სახით.

ყველაფერი ეს ადმინისტრაციის მოქმედების შეზღუდვასთან ერთად, რაიც უპირველესად ყოვლისა მოჰყვება ერობის შემოღებას, ცოტა არ იყოს „ხიფათს" უმხადებს უცხო „პროგრესიულ" ბურჟუაზიულ კდასს.

ასეთია მდგომარეობა და ერობის შემოღების მიერ გამოწვეული პერსპექტივები. მრავალფრად გადიშალა ჩვენ თვალწინ სინამდვილე მწარე და სასტიკი ჭეშმარიტებისა. მართლა რომ საგულისხმიერო და საინტერესოა იგი და ღირს მაზედ კიდევ შეჩერება..

ზ. ქ.

(შემდეგი იქნება)

## დეპეშები

(მოსკოვის საკ. კორესპოდენ.)

**პროფესორი მიგულინი სწერს „ნოვ. ეკონომისტ."-ში: ვერდენთან ბრძოლით გერმანელებმა მოკავშირენი მოაცილეს სალონიკს და რუსების წინ-სვლა ოსმალეთის აზიის ნაწილში შეაფერხეს.**

—

**სათათბიროს დეპუტატთა დამატებითი არჩევნები ამ ზაფხულს მოხდება.**

—

**ამბობენ უწმ. სინოდის ობერ-პროკურორ ვოლჟინს გადააყენებენ და მის ნაცვლად ბელეცკს მოიწვევენო.** ბ. ვ.

**ბათომი,** (საკუთ. კორესპონ.) **აჭარელთა საქმის განხილვა სასამართლომ დაამთავრა. დღეს ბრალმდებელი ილაპარაკებს.**

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები).

რუსეთის ასპარეზზე ბაშლიკის მიდამოებში გერმანელებმა იერიში მიიტანეს, მაგრამ რუსების რაზმმა ხელის ყუმბარებით უკუაგდო.

—

კავკასიის ასპარეზზე სიმშვიდეა.

—

ვერდენის ასპარეზზე „304" სიმაღლის დასავლეთით გერმანელებმა ცეცხლის მფრქვეველი მანქანა იხმარეს და წინ წაიწიეს, თუმცა ისევ მალე უკან დასწიეს. ტიომონ-დუომონის მიდამოებში მკაცრი ბრძოლაა.

—

მაასის მარცხენა ნაპირს გერმანელები მძიმე ზარბაზნებს უშენენ.

—

მორტჰომის აღმოსავლეთით გერმანელები სოფ. კიუმერში შეიჭრნენ.

—

იტალიის ასპარეზზე ზოგიერთ ადგილას იტალიელები უკან იხევენ.

—

დანიის გემი ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა.

—

ინგლისის გემი „რინესი" ნაღმს წააწყდა და დაიღუპა.

## ახალი ამბავი

◆ **ახალი ბანკი.** კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკში 10 მაისიდან 100-ზე მეტი ახალი წევრი ჩაეწერა. როგორც მთავარ საორგანიზაციო კომიტეტს, აგრეთვე სარაიონო კომიტეტებსაც აუარებელი ძველი წევრები აწუხებიან აქციების 40%-ის შესატანად. ფულის მიღება შეწყდება 20 მაისს. წინად შეტანილი 10% აქციებისა უდრის 300.000 მანეთს, ეხლაც 20 მაისამდე 40%-ის შეტანით უნდა შეგროვდეს 1.200.000 მანეთი. ამის შემდეგ სამინისტროდან მიღებული იქნება ბანკის დამტკიცებული წესდება. როგორც დანამდვილებით ამბობენ, ბანკი მოქმედებას დაიწყებს მომავალი ენკენისთვიდან.

◆ **სახალხო წიგნები.** 11 მაისს კრება ჰქონდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობასთან არსებულ წიგნების გამომცემ სექციას. კრებას დაესწრნენ ქართველი ექიმები და ბუნების მეტყველნი. კრებამ მიანდო ბ-ნთ ს. გულისაშვილს, დ. პარკაძეს და ს. იაშვილს წარმოუდგინონ სია საჭირო წიგნებისა, რომელნიც უნდა გადმოითარგმნოს ქართულ ენაზე.

◆ **მატყლი.** ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა შახოვსკიმ შემდეგი სავალდებულო დადგენილება გამოსცა: 1916 წელს ნაპარს მატყლს სამხედრო საჭიროებისათვის შეიძენენ მაუდის დასამზადებლად. ამ წლის პირველ მაისიდან 1917 წ. 1 მაისამდე უმაღლეს ხარისხის მატყლი (მერინოსი) ფუთი ეღირება 85 მანეთი. ციგაისა და ბესარაბიისა—63 მ. სხვა მატყლი—56 მან. დანარჩენ ხარისხის მატყლზე ფასს აწესებს საგანგებო კომისია. მატყლის შეძენის უფლება აქვთ მხოლოდ სამხედრო საჭიროებისათვის მაუდის დამამზადებელ ქარხნებს. ევროპისა და აზიის რუსეთში სულ 1 მილიონი და 20 ათასი ფუთი მატყლი შეგროვდება. 1916 წ. 15 მარიამობისთვის შემდეგ მატყლი რა კი მეცხვარეებს გასარეცხად არ ექნებათ მიცემული, მთავრობა იძულებით ჩამოართმევს. კერძო პირებთან დადებული ხელშეკრულებანი, თუნდაც განსაზღვრულის პირობებით, 1916 წ. ნაპარს მატყლზე არა ვრცელდება. ვინც ამ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს, დააპატიმრებენ ერთის წლითა და 4 თვემდე.

◆ **სახალხო სეირნობა და ლატარია-ალეგრი.** დღეს, საღამოს 6 საათზე, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ქალთა კრება შესდგება, რომელიც ითათბირებს სახალხო სეირნობისა და ლატარია-ალეგრის გამართვის მოწესრიგების შესახებ 22 მაისს.

◆ მგოსან **იროდიონ ევდოშვილის** საფლავზე 11 მაისს, საბალოსნო სასწავლებლის მოწაფეებმა ყვავილები დარგეს.

◆ **დახმარება სტუდენტებს.** ჟენევაში მყოფ ქართველთა სტუდენტების წრეს 300 მანეთი გაუგზავნა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ. ეს ფულები უკვე მიუღია წრეს და თავისს წევრთა შორის გაუნაწილებია.

◆ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო** საზოგადოების საბჭოს უკვე შეუდგენია მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვის პროექტი და 21 მაისს წარუდგენს საზოგადოების წევრთა საერთო კრებას განსახილველად. ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით საბაღოსნო სკოლას 40 ათასი მანეთი დეფიციტი ექნება წლეულს. განზრახულია საზოგადოების მდივანს ნაცვლად 1.800 მანეთისა 3.000 მან. ღაენიშნოს წლიურ ჯამაგირად.

◆ **საზეიმო ნადიმი** თ-დ ივ. აფხაზის ბინაზე 10 მაისს გაიმართა. ნადიმს დაესწრნენ საერობო თათბირის უმრავლესობის წევრნი და ბ-ნი ალ. ი. სუმბათაშვილი. ნადიმზე მრავალი საგულისხმიერო სიტყვა წარმოითქვა.

◆ **თ-დ სუმბათაშვილ-იუჟინის** პატივსაცემად ტიგრან ნაზარიანი თვის სამხატვრო სალიტერატორო სალონში აპირებს გამასპინძლებას თბილისში მყოფ ჩვენ სასიქადულო მამულიშვილის თ-დ ალ. ი. სუმბათაშვილ-იუჟინისას. მასპინძელი მიიწვევს მწერლობის, ხელოვნების, პრესის და თეატრის წარმომადგენელთ განურჩევლად ეროვნებისა. გუშინ-წინ საღამოთი სალონში საგანგებო თათბირი გაიმართა ამ საკითხის შესახებ, რომელზედაც ერთხმად გადაწყვეტილ იქმნა ამ აზრის განხორციელება.

◆ **წესდების პროექტის განხილვა.** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა მოიწვიოს 30 მაისს საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება საზოგადოების ახლად შემუშავებულ წესდების განსახილველად.

◆ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების** არა-ჩვეულებრივი კრება დანიშნულია 15 მაისს „ახალი კლუბის" დარბაზში. სხვათა შორის კრებას დაესწრება საპატიო წევრი ამავე საზოგადოებისა ბ ნი ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილი, რომლის თავმჯდომარეობითაც მოხდება კრება.

◆ **„ღალატი" ალ. სუმბათაშვილის თანადასწრებით.** ქართული დრამატიული საზოგადოება, თანახმად ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის ალ. სუმბათაშვილის სურვილისა, „სახალხო სახლში" ამ მოკლე ხანში სდგამს „ღალატს" თვით ავტორის თანადასწრებით.

◆ **ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობამ** განიხილა და შეიწყნარა გუდაუთის მცხოვრებთა შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ გუდაუთში გაიხსნას პირველდაწყებითი სკოლა. სკოლის გახსნისა და შენახვის ყოველივე ხარჯებს თითონ გუდაუთელები კისრულობენ, ხოლო მთავარმა გამგეობამ ერთდროულად 300 მანეთით უნდა დაეხმაროს.

◆ **სახელოსნოები წერა-კითხვის სკოლებთან.** 10 მაისს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ მსჯელობა იქონია შესახებ სახელოსნოების დაარსებისა პირველდაწყებით სკოლებთან და დაადგინა ამ საკითხის დაწვრილებითი გამორკვევა და შესაფერისი მოხსენების შედგენა მიანდოს სასკოლო სექციას.

◆ **ქართული სკოლა სამურზაყანოში.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ განიხილა და შეიწყნარა სასკოლო სექციის დადგენილება შესახებ ქართულ პირველ-დაწყებითი სკოლის გახსნისა სამურზაყანოში, სოფ. გალში. ამ სკოლის შესანახ ნახევარ ხარჯს იკისრებს საზოგადოების მთავარი გამგეობა, ხოლო მეორე ნახევარს—ქუთაისის განყოფილება.

◆ **დ. კასრაძემ დაამთავრა რომანი „წითელი ზამბახი".** სიუჟეტი რომანისა აღებულია ჩვენი დროის ინტელიგენციის ცხოვრებიდან. ავტორს განზრახვა აქვს ლიტერატორთა წრეში წაიკითხოს, ვიდრე დასაბეჭდად გადასცემდეს რედაქციას.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ბ-ნ **გ. ვეშაპელის** რუსულად დაწერილი წიგნი შემდეგის სათაურით: **„ოსმალეთის საქართველო: ლაზისტანი, ტრაპიზონი და ჭოროხის ხეობა".** წიგნი გამოცემულია მოსკოვში ქართველ სამეცნიერო და სახელოვნო-სალიტერატურო საზოგადოების მიერ. წიგნი შესდგება სამი თავისაგან. პირველ თავში მოთხრობილია ოსმალეთის საქართველოს ისტორია; მეორე შეეხება თანამედროვე ოსმალეთის საქართველოს და მესამე—სომხეთის ავტონომიას და ოსმალეთის საქართველოს მომავალს. წიგნი შეიცავს 52 გვერდს.

◆ **მკვლელობა იჭვიანობის გამო.** იერუსალიმის ქუჩაზე ერევნის სასულიერო სემინარიის მასწავლებელმა ვ. ბ. ტერ-პეტროსიანმა, ე. ბ. მელქუმიანის ბინაზე, რევოლვერით მოჰკლა თავისი მეუღლე რიფსიმე, რომელიც რამდენიმე დღის წინად ქმარზე ადრე ჩამოვიდა თბილისში. მიზეზი მკვლელობისა—იჭვიანობა ყოფილა. მკვლელი შეიპყრეს.

◆ **უმაღლესი ჯილდო** ებოძათ სამხედრო უწყებაში სტანისლავა 1 ხარისხისა გენ.-მაიორ ჩიქოვანს სტანისლავა 2 ხარისხისა კაპიტან დ. კონჭოშვილს, პოლკოვნიკ თ-დ მ. ჭავჭავაძეს, კაპიტნებს: ო. ფურცელაძეს, ვ. სიდამონოვ-ერისთავს და ი. ნარეკლიძეს, სამხედრო ინჟინერ გ. თაყაიშვილს.

სასულიერო უწყებაში; ვლადიმერის 3 ხარისხისა დეკანოზებს სიღნაღის ტაძრისა ბეგიაშვილს და ქუთაისის ჭეიშვილს, ვლადიმერი 4 ხარისხისა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვარ არქ. ნაზარს, დეკ. სიონის ტაძრისა სიმონიშვილს, მოწამეთის მონასტრის წინამძღვარს არქ. დოსითეოსს ქუთაისის ეკლესიის მღვ. აბესაძეს და გამოჩინებულის ეკლესიის კანდელაკს.

ანნა 2 ხარისხისა მიხეილის საავადმყოფოს ტაძრის წინამძღვარს დეკ. ბარნაბაშვილს, დუშეთის მაზრის მეტრეველს, თბ. ივერიის ტაძრისას გურგენიძეს ახალციხის ტაძრისა ნახუტაშვილს, ქუთაისის გუბ. კაციის ტაძრის, ჩაჩიბაიას, დიდუბანის ბერიძეს, ჯგმალისას კვარცხავას, ჩილიშისას მონასტრისა არქ. კლიმენტს, კანდელაკს ქუთაისის ტაძრისა დოლაბერიძეს. ანნა 3 ხარისხისა ქუთაის. გ. ლიხაურის ტაძრის კონტრიძეს, შხეფის მეორე ტაძრის სახოკიას, ბიისის სასანიას მართვილის მონასტრის ხაზინადარს მღ. მონაზონ ეპიფანის, ანადინედრისა ბაკურაძეს და ნიკორწმინდის გულისაშვილს. სტანისლავა 3 ხარისხისა ქუთაისის ეპარქიალურ კანცელარიის მდივნის თანაშწე კანდელაკს, სასინოდო კონტორის თარჯიმან გომელაურს და ამავე კანტორის მდივან მონასელიძეს.

◆ **კოოპერატივი თბ. მოხელეებისა.** თბილისის გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად წესდება „სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურე მომხმარებელ საზოგადოებისა".

◆ **საქონლის ხორცი.** ქალაქის სასურსათო თათბირზე არჩეულმა საგანგებო კომისიამ უკვე დაამთავრა თავისი მისია. კომისიამ იყიდა რამდენიმე სული საქონელი და დააკვლევინა ხორცის ღირებულობის გამოსარკვევად. როგორც საზოგადოდ ყოველთვის, ეხლაც მოუტყუილებიათ კომისია საქონლის მოვაჭრეებს (თუ განგებ მოტყუებულა აგი), რასაც შედეგად მოჰყოლია სწორედ ის, რის წინააღმდეგ იბრძვის ქალაქის მცხოვრებნი. კომისიას უყიდნია დასაკლავად უვარგისი საქონელი და ამის გამო მცირე წონის ხორცი აღმოჩენილა. სხვა ხარჯებს რომ თავი დავანებოთ, მხოლოდ საქონლის ფასის კვალობაზე 1 გირ. ძროხის ხორცი, სასაკლაოდან ქალაქში მოტანით, დამჯდარა $39_5$ კაპ., ხოლო ცხვრის ხორცი—$31_5$ კაპეიკი. კომისიის წევრთა შორის ლაპარაკი ატეხილა შესახებ ნიხრის გაუქმებისა ხორცზე, მაგრამ ხმის უმრავლესობით ნიხრი ისევ დარჩენილა. შემდეგ კომისიას დაუდგენია დაწესდეს: 1 გირ. პირველ ხარისხის ძროხის ხორცზე 45 კაპ., მეორე ხარისხისაზე—25 კაპ.; გირვანქა [illegible] კაპ. და კამეჩისაზე [illegible]

◆ **ბოროტ-მოქმ. ქალაქთა კავშირში.** სამოსამართლო გამომძიებლის განკარგულებით შეიპყრეს მ. გ. ჯალალოვი, ყოფილი გამგე ქალაქთა კავშირის საქონლის საწყობისა, რომელსაც ბოროტ-მოქმედება ბრალდება საქონლის გადასაზიდ მოწმობების მიცემაში. 1.000 მოწმობიდან 200 მოწმობაზე ანგარიში ვერ ჩააბარა გამომძიებელს.

### ქუთაისი

ქუთაისის გუბერნატორი გრაფი **გუდოვიჩი** დაბრუნდა თბილისიდინ და შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას.

— ქ-ნ ხოჯევანიშვილის ქალთა პროგიმნაზიაში გასათავებელი წერის გამოცდა უკვე დასრულდა. ზეპირი გამოცდები კი 12 მაისს დაიწყო.

### ბათომი.

— ბათომის ქართ. სც. მოყვ. დრამატიულ წრეს განზრახვა აქვს ახლო მომავალში გამართოს ეგნატე ნინოშვილის საღამო.

### ოზურგეთი.

როგორც დანამდვილებით გავიგეთ სამოსწავლო საბჭოს ადგილობრივ განყოფილებას მოუვიდა ცნობა, რომ სულ ახლო მომავალში მიიღებენ სამრევლო სკოლათა მასწავლებელნი დღიურ სახარჯოს. (суточныя деньги). პირველად მისცემენ ცხრა თვისას ერთად გასული წლის პირველ აპრილიდან ქრისტეშობისთვის ბოლომდე.

— 22 ამ თვეს ქალაქის ბაღში გაიმართება უფასო სამკითხველო-წიგნთსაცავის სასარგებლოდ დიდი სახალხო სეირნობა.

— ოზურგეთის რაიონის გამომძიებლად დაინიშნა ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნაურო ბანკის იურისკონსულტი ბ. მიხ. ქორქაშვილი.

— კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტის ადგილობრივ აგენტს გიორგი მუმლაძეს მოუვიდა ხსენებული ბანკის საკვინტაციო წიგნაკი, რომლითაც 10-20 მაისს აქციონერებმა უნდა შეიტანონ თითო აქციის 40% (100 მან.). მიიღება ახალი ხელის მოწერაც.

### ქ. გორი.

8 აპრილს, გორის საკრებულო ტაძარში, წირვის შემდეგ, გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ მგოსნის იროდიონ ევდოშვილის სულის მოსახსენებლათ. მწირველნი იყვნენ დეკანოზი კაპანაძე, ბლაღოჩინი მცხვედაძე და სხვანი. წირვის გათავებისას სიტყვა წარმოსთქვა გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელმა ილია კაპანაძემ, რომელმაც გააცნო დამსწრეთ განსვენებული მგოსნის მოკლე ბიოგრაფია. მის შემდეგ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასამ. პანაშვიდზედ, მისდა მიუხედავათ რომ ამ დღეს ცუდი ამინდი იყო, ხალხი ბლომათ დაესწრო.

### სოფ. ახაშენში.

5 მაისს დილით 7 საათზე სარაევის ზვარში ყაჩაღები დაესხნენ მის მუშებს. მუშაობდა ორასამდე დედაკაცი, ქალი და ბიჭები. ძრიელი სროლა ასტეხეს. მოჰკლეს საბა გელაშვილის ცოლი და დასჭრეს ერთი პატარა ქალი. შემდეგ ყაჩაღები მიიმალნენ, პოლიცია დაეძებს. იმათ განზრახვა ის ყოფილა, რომ მუშები შეეშინებინათ. რათა აღარ ემუშავნათ სარაევის ზვარში. მიზეზი ის ყოფილა, რომ ყაჩაღებს ფული მიუწერიათ სარაევისათვის და უარი მიუღიათ. ხალხი ძალიან შეშინებულა.

—

## შემოწირულება

იმერეთის ეპისკოპოზ ყოვლად სამღვდელო გიორგისაგან **ევდოშვილის ოჯახის სასარგებლოდ** მივიღეთ 25 მ.

## ვლ. დარჩიაშვილის გარდაცვალება

ქუთაისში რაჟდენ დათეშიძეს შემდეგი დეპეშა მიუღია გერმანეთიდან:

დარჩიაშვილი ხანგრძლივად დაიტანჯა კუჭის ავათმყოფობით. 2 მაისს მძიმედ გახდა ავად კუჭის ტკივილით. ზედ დაერთო ანთებაც და 7 მაისს გარდაიცვალა. თანამემამულეებმა და მეგობრებმა ქრისტიანული წესით მიწას მიაბარეს. დაწვრილებით ცნობებს და ფოტოგრაფიულ სურათს წერილით გიგზავნით. მისი ნივთები და დოკუმენტები ჩემთან ინახება.

პოლოხოვი.

# იროდიონ ევდოშვილის გარდაცვალების გამო

## სამქიმრის დეპეშა

**პეტროგრადი.** პეტროგრადელ ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოება ულრმესის გულის ტკივილით შეეგება სამშობლოს მიერ ახალ მსხვერპლის, პოეტ ევდოშვილის დაკარგვის ამბავს. მისი ჩანგი სწორედ მაშინ დადუმდა, როდესაც გამამხნევებელი ჰანგები ასე საჭირო იყო უმისოდაც დაობლებულ სამშობლო ქვეყნისათვის.

თავმჯდომარე **ვლადიმერ მიქელაძე.**

## სამგლოვიარო წერილი

**ს. საჯევახო** (გურია). გულ-დაფლეთილი დავსტირი საყვარელ მეგობრის იროდიონის, ამაყი მგოსნის ამაყ გარდაცვალებას. ჩემში მარად უკვდავი იქნება მისი ქარიშხალიანი მგოსნური სული.

**გ. ქუჩიშვილი.**

—

**ხად. საჯევახო.** ვგლოვობთ და ვსტირით ძვირფას მწერალს და საუკეთესო მებრძოლს, იროდიონ ევდოშვილს. გვრწამს საყვარელი მწერლის დაუვიწყარი სახელი ღრმად ჩარჩება მთელი ერის გულში დ ის ჩვენ შორის განუყრელად უკვდავად იარსებებს.

**ო. კ. ბოლქვაძე, ე. მ. კახიანი. ს. ა. თარგამაძე, ვ. ს. რამიშვილი, ნ. მ. ჯაში.**

—

**ფოთი.** 9 მაისს, ფოთის საკათედრო ტაძარში, ყ დ სამღვდელო, გურია სამეგრელოს ეპის. ლეონიდმა წირვის შემდეგ გადაიხადა იროდიონ ევდოშვილის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი, პანაშვიდის დაწყებისას დეკ. კელენჯერიძემ წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა.

—

**დ. ლანჩხუთი.** კვირას, 8 მაისს, გადახდილ იქმნა პანაშვიდი საყვარელი მგოსნის იროდიონ ევდოშვილის უკვდავი სულის მოსახსენებლად; მღ. კობაიძემ მოკლედ გააცნო საზოგადოებას განსვენებულის ბიოგრაფია.

## სიტყვა

**სოხუმის წარმომადგენელის ნ. თავდგირიძისა.**

ძვირფასო, ბუნებრივი ნიჭით უხვად დაჯილდოვებულო, ცხოვრების სიმკაცრით დასჯილო, კეთილ-შობილო ადამიანო, იროდიონ!

—

მოულოდნელმა გარემოებამ უმწარესი ნაწილი შენი ხან-მოკლე ცხოვრებისა იძულებულ გყო სოხუმის ქართველთა შორის გაგეტარებინა; ჩვენი შავი ზღვის ნაპირის ნაზმა ბუნებამ რამდენიმე თვეებით მაინც მოგცა შეძლება გაგეგრძო შენი ცხოვრება. ჩვენ—სოხუმელი ქართველები—განსაკუთრებული მწარე გრძნობით უყურებდით შენს ტანჯვას, წვალებას, შენს ძველებური ქართველური მხნეობა-მოთმინებით ბრძოლას ადამიანის ბუნების დამრღვევ ძალასთან. არც ერთ მოვლენაში ადამიანის სულიერი სიძლიერე ისე არ გამოჩნდება, როგორც უკიდურეს გაჭირვების დროს, პირად არსებობისათვის ბრძოლის შემთხვევაში. როცა ექიმებისაგან შეშინებულნი შენი მდგომარეობის განსაცდელ წამების დროს მოვიდოდით შენ სანახავად, შენ თვალებში, შენ სულიერ განწყობილებაში ჩვენ ვამჩნევდით, თითქოს გვეუბნებოდი „ნუ გეშინიათ, ეს ცხოვრება არ ღირს იმათ, რომ ვინმე მისთვის შესწუხდესო“ შენ სულიერ სიმშვიდეში, შენ მხნეობაში, შენ უსაზღვრო მოთმინებაში ჩვენ გვესახებოდა ის ძველებური სულიერად ძლიერი ქართველი, რომლის ღრმა შეხედულება ცხოვრებაზედ ორიოდე სიტყვით გამოუთქვამს ჩვენ უკვდავ პოეტს: „ჭირსა შიგან გამაგრება ეგრე -უნდა, ვით ქვითკირსა“.

ეხლანდელ დროში, როცა იმდენად დავკნინდით, დავძაბუნდით სულიერად, რომ უმრავლესობა ჩვენგანი მციერიოდენ გაჭირვებისაგან სასოწარკვეთილებაში ვარდება და ვერავითარ დაბრკოლებას ვერ უძლებს შენისთანა ძლიერი სულის პატრონი ჩვენებური კაცი თითით საჩვენებელია. მე, სამწუხაროდ ჩემდა, წილად მხვდა, მხოლოდ შენი ცხოვრების უკანასკნელ წამებში გამეცანი და აქ შენ კუბოსთან ზნეობრივ ვალდებულად ვრაცხ ჩემ თავს განვაცხადო, რომ არც ერთი სიტყვით, არც ერთი თვალის გამოხატულებით შენ უკმაყოფილება არ წამოგცდენია ჩვენებური საზოგადოებური გულგრილობისათვის თუმცა ბევრი გაკლდათ, ბევრს ითმენდი, მაგრამ ერთი ამოკვნესითაც არავისი საყვედური არ შეგიმჩნევიათ. იმ დროს, როცა ძლიერი გარემოებით, ფიზიკურად მრთელნი არ კმაყოფილდებიან მრავალ ნაირ შეღავათს ჩვენებური საზოგადოებისაგან და ზედ-მეტ ზრუნვა-წვლილს ითხოვენ თავის მცირედ, მაგრამ მყვირალა საქმეებისთვის, შენ ისე ჩახველ საფლავში, რომ არავისადმი უკმაყოფილო სიტყვა არ წამოგცდენია. დიახ, ყოველ შენ მწარე წამს ცხოვრებისას ისე ჰლევდი, რომ არავის შემწეობას, არავის შებრალებას არ თხოვილობდი; ეს არის შენი ბუნების სიდიადე; ეს გარემოება ერთი-ორად ამწვავებს ჩვენ მწუხარებას, გვაგრძნობიებს ჩვენ ზნეობრივ მოვალეობას: უნებლიეთ რაღაც მტანჯველი აზრი გაგვივლის რომ ჩვენი საზოგადოება დანაშაულია შენისთანა ნიჭიერი ახალგაზდების ასე უდროვოდ დაკარგვაში.

ჩვენ რომ ისეთი ყურადღებით ვეპყრობოდეთ ჩვენ ნიჭიერ მოღვაწეებს ცხოვრებაში, როგორც სიკვდილის დროს ვიცით პატივისცემის გამოცხადება, ბევრ მათგანს ვიხსნიდით განსაცდელისაგან. ჩვენ ქართველობამ ჩვენი ქონებრივი სიმდიდრე გავფლანგეთ და ეხლა ჩვენ შთამომავლობით გადმოცემულ სულიერ განძს უდიერად და გაუფრთხილებლად ვეპყრობით. ვინ იცის რამდენი სიკარგე შენისთანებთან ერთად დავკარგეთ ისე, რომ მისი ძალა და მადლი სავსებით ვერ მოვახმარეთ ჩვენ ხალხს. საბრალოა და სასაშიშრო იმ ერის მდგომარეობა, რომელიც თავის სულის ძალას განსაკუთრებული მზრუნველობით არ ინახავს და არ უფრთხილდება. დაე, შენმა უდროვოთ დაკარგვამ, შეგვაძლებიოს ჩვენი მოვალეობა და შემდეგისათვის მაინც მეტი მზრუნველობა და პატრონობა აღმოუჩინოთ შენისთანა ნიჭიერ მამულისშვილებს.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ჩვენშორის.

## იარაღი ეპისკოპოზ მესროპის სახელზე

ორ მაისს თბილისის სადგურზე 32 ყუთი, წონით 105 ფუთი, გადმოტვირთეს. ეს ყუთები გამოგზავნილია „სომხის ეპარქიის უფროსის“ ეპისკოპოზ მესროპის სახელზედ „სომხურ ეროვნულ ბიუროსთვის“. წარწერა ფრანგულია. ყუთები ამერიკიდან არის გამოგზავნილი. ამ ყუთებში საუკეთესო ლევოლვერები და თოფები აწყვია თავის ტყვია-წამალით. ვაგონიდან ამ ყუთების გადატვირთვა დაუწყიათ თუ არა, სადგურის ჟანდარმს ეჭვი აუღია და ერთ-ერთი ყუთი გაუხსნია. როცა აღმოჩენილა თუ რა იყო, იმ წამსვე თბილისის საბაჟოს განკარგულება მოუხდენია, ყუთები საბაჟოში წარმოედგინათ. ჩამოღებული ყუთები ისევ ვაგონში შეაწყვეს და საბაჟოს საწყობისკენ გააქანეს. როგორც მოსალოდნელი იყო, საბაჟოს ეს იარაღი „სარეკვიზიო“ იარაღად გამოუცხადებია.

სამხედრო უწყების გარდა საზღვარგარეთიდან იარაღის გამოწერის უფლება არავის აქვს. საბაჟოს მიერ დაჭერილი იარაღი კავკასიის სამხედრო შტაბმა უნდა ჩაიბაროს.

შარშან, 10 წიფობისთვეს, იმავე ეპისკოპოზის სახელზედ 18 ყუთი იარაღი მოსულა და შარშანაც ეს იარაღი, მეფის ნაცვლის განკარგულების თანახმად, თბილისის საბაჟოს სამხედრო უწყებისთვის გადაუცია.

ორ მაისს ჩამოსული იარაღი მეტად ოსტატურად არის რუსეთში შემოტანილი. იარაღის შემოტანის ნება რთვა საქმის მომწყობთ პოლიციის დეპარტამენტისაგან აუღიათ. ამ იარაღის თბილისში ჩამოსატანად, არხანგელსკის საბაჟოში წარმდგარა ვიღაც გასან-ჯალალოვი, როგორც რწმუნებული ქალაქთა კავშირის თბილისის განყოფილებისა და 19 თებერვლის თარილით ასეთ განცხადებას აძლევს არხანგელსკის საბაჟოს: „გთხოვთ ეს ყუთები თბილისში გაგზავნოთ ეპისკოპოზ მესროპის სახელზედო“.

ნეტავ ვიცოდეთ ვისი რწმუნებულია ეს გასან ჯალალოვი? თუ ქალაქთა კავშირის რწმუნებულია, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა ეპისკოპოზ მესროპის ნივთებთან და თუ ეპისკოპოზის რწმუნებული იყო მაშინ რად დასჭირდა ქალაქთა კავშირის კავკასიის რწმუნებულის სახელით განცხადების შეტანა?!

?.

## თავ. ალ. ი. სუმბათაშვილის გასტროლები

დრამატიული ხელოვნება შემოქმედებით ხასიათის ხელოვნებათა დარგს ეკუთვნის. უმთავრესი მისი დანიშნულებაა სურათისა, ფერადებისა თუ პლასტიკის საშუალებით მოგვცეს ადამიანთა სახე. ერთგან ეს სახე შეიძლება ასლი იყოს, მეორედგან იდეალი, მესამედგან კარიკატურა და სხვა. მსახიობის განკარგულებაში გაცილებით ნაკლები მასალაა და ნაკლებ თავისუფლებით ჰსულდგმულობს იგი, ვიდრე მხატვარი, მოქანდაკე. მას არ მოეპოვება არც ტილო, არც მარმარილო, არც ფერადები, არც საკვეთელი გარდა ერთი ხმისა და საკუთარის სახისა. მაგრამ ამ სიძნელის გადალახვა თავის თავად ჰგულისხმობს მსახიობის გამარჯვებას, მის ხელოვნების გვირგვინოსნობას.

იდეალიზმისა და რეალიზმის დაუსრულებელმა ბრძოლამ, რაიც ისეთივე ძველია, როგორც თვით შემოქმედებითი ხელოვნებანი, დრამატიულ ხელოვნებაშიც წარმოშვა ორი მიმდინარეობა, ორი სულ სხვა და სხვა გვარი მიმართულება: აქაც არიან ნატურალისტები, რომელნიც მხოლოდ მოდელებზე მუშაობენ, ჰხატავენ იმას, რაც რომ ნამდვილად უნახიათ, ხოლო გვხვდებიან ძველი ტრადიციების მიმდევარნი, რომელთაც არავითარი სინამდვილე არ აინტერესებთ, არც ჰსურთ გაიგონ თუ საგნები სინამდვილეში როგორ გამოიყურებიან, არამედ ინტერესდებიან მით, თუ როგორ ჰხატავდნენ ამ საგნებს ძველი კლასიკები, რომელთა ცოდნა და სიტყვა ერთგვარი კანონია, რომლის დადგენილებას ვერ გადუხვევთ. სცენაზე სიარულისა და ლაპარაკის მანერა, მიმიკა და დეკლამაცია ამ სკოლის მიმართულების გამო დაშორებულია ბუნებრივობას და მიტომაც ჰაერში გამოკიდული მსახიობნი ყოველთვის ფერმკრთალი სახით გამოიყურებიან და ნაკლებს ინტერესს იწვევენ ჩვენში, ვიდრე რეალისტთა სკოლა, რომელიც სცდილობს ცხოვრებასთან დაკავშირებული იყოს.

ჩვენი ძვირფასი სტუმარი თავ. ალ. ი. სუმბათაშვილი სწორედ რეალისტთა სკოლას ეკუთვნის. წელს პირველად შემთხვევა მქონდა მენახა იგი აქ, ჩვენს დედა ქალაქში, სახაზინო თეატრის სცენაზე. მისი „ძველი ნაწრთობი“, რომელიც მის გასტროლების პირველ მერცხლად მოევლინა სცენას, ფარდის ახდისთანვე გვაუწყებდა, რომ თავ. ალ. ი. სუმბათაშვილის სახით გვიდგას რეალისტი მხატვარ-დრამატურგი და მსახიობი. პიესა, მართალია, დრამატიული ხელოვნების თვალსაზრისით, როგორც მისი ნაადრევი ნაწარმოები, არ ეკუთვნის დასრულებულს და მოფარგლულს თხზულებას, მაგრამ შიგ გაბნეული მხატვრული სურათები ყოველისფერს ისყიდის, აგრძნობინებსთ ერთგვარს პატივისცემას, ეროვნულ სიამაყეს, მცირეოდენის წაყვედრებით: „შენი რაა რომ ამშვენებ შენს დამღუპველ ოსმალეთსაო“.

არ შევეხები პიესის გაკრიტიკებას, ვიტყვი მხოლოდ, რომ შინაარსი აღებულია შამილის ეპოქიდან და უმთავრეს როლში, პოლკოვნიკისა, გასტროლიორი მართლაც შეუდარებელი იყო. ყოველი ფსიხოლოგიური მომენტი, სრულის სიმართლით, სრულის მოხაზულობით იყო გადმოცემული. სადა და უხეში განდობა სიყვარულში, როგორც ეს შეჭფერის ბრძოლაში სინაზესა და ალერსს მოკლებულს თითქმის ნახევრად გაველურებულს მხედარს, გრძნობიერი, ვნებით შეკავებული და მთრთოლვარე ხმა, რასაც არც ერთს წამოცდენილს ჟესტში, არც ერთს გარკვეულს და ნათელს სიტყვაში არა ჰხატავს, არამედ მას ჰგრძნობთ მოღუშულს წარბებში, ოდნავ ათრთოლებულს ტუჩებში, ღრმა და არწივისებურს თვალების მილულვაში,— თქვენ გიდგენდათ უაღრესად შეყვარებულ ადამიანს, რომელსაც ტრფიალების სტიქიას თავისი ფრთებით მოუმსხვრევია ეს „ძველი ნაწრთობი“, ომებ გადახდილი გმირი და ნაზ ქმნილების ფერხთა წინაშე უმწეო ბავშვს უფრო დამგვანებია, რომელსაც მარსის ფოლადის საჭურველის ნაცვლად ხის ფარხმალი დაუკიდიათ.

მაგრამ აი, ეღირსა მის ხელს. იგი უაღრესად ბედნიერია. ათას ვაჟკაცის სიცოცხლე ემატება. ამ დროს მოვალეობა უწევს ლაშქრობას. მის ოჯახს ეწვევა უბედურება; მეუღლე მისი მის ხელქვეითთან იჭერს საქმეს. საუცხოვო იყო ამ დროს ჩვენი დაკარგული, მსახიობი, მომენტი ფსიხოლოგიური გარდატეხისა, რასაც უნდა გადაეჭრა ოჯახის მოვალეობის საკითხი და სამშობლოსი, დრამატიულ ხელოვნების ტრიუმფად აქცია. ფოკუსი ამ გამარჯვებისა იყო იგივე სადა, უპათოსო, სრულიად თავისუფალი საშუალებანი, რომელთა ანალიზი ყოვლად შეუძლებელია, ამისთვის საჭირო იყო, რომ მსურველს თვითვე ედევნებინა თვალყური მის სახის მეტყველებისთვის, მის ყოველი მოძრაობისთვის, ინტონაციის განსაკუთრებული ტემბრისათვის.

თუ ძლიერი სულით მოგვეჩვენა თავ. ალ. ი. სუმბათაშვილი „ძველ ნაწრთობის“ როლში, სამაგიეროდ სრული კონტრასტი სურათი გადმოგვცა ჰანრი დე სენტ ჯონის განპიროვნებით. „ჭიქა წყალი“, ე. სკრიბის კომედია, რომელშიც მეორედ მქონდა ბედნიერება მენახა ძვირფასი გასტრალიორი, სრულიად სხვა ჟანრია. და აი, მსახიობმაც ახალი ფარდის ახდისთანავე გვაჩვენა განსაკუთრებული ხასიათი თვისი ნიჭისა. ჩვენთვის ნათელი შეიქმნა, რომ მსახიობი ისევე უფლობს ყველა გრძნობას და ვნებას, როგორც რომ ძევსე ლაპერუნს. მას თავისუფლად შესძლებია როგორც ძლიერ დრამატიზით დამსწრე საზოგადოების აცრემლება, ისე გაცინება, სიცოცხლის ცრემლებით ახალი ატირება. იგი ნამდვილი მსახიობია, ამ სიტყვის სწორი მნიშვნელობით, ნამდვილი პროტეე. მისი გარდაქმნა მარტო გარეგნობაში კი არ გამოიხატება, ვთქვათ, კასტიუმისა და გრიმის შეცვლაში, არამედ თვით სულიერს ცვალებადობაში. თავის თავად „ჭიქა წყალი“ არც ისე სახარბიელო პიესა, მის ხელში მიმზიდველ და ყოვლად საინტერესო სანახაობად გარდაიქცა. ჰენრი დე სენტჯონ მსახიობს გარდაუქმნია თავის ხელში ბრინჯაოს მხატვრულ ნაწარმოებად. თვით გრიმიც კი მხატვრულია, სწორად შეუნიშნავს ყოველისფერი, როგორც ეს შეჰფერის ინგლისის სასახლის უწარჩინებულეს კაცს, ვისაც ბედმა და გარემოებამ აკისრებინა სამეფოს თითქმის აქტიური ხელის გამგებლობა, სასახლის ინტრიგების გახსნა-დაფუშვა და... თვით ერთგვარი მაჭანკლობაც კი! სკრიბის კალმის წყალობით ჰანრი დე-სენტ ჯონ განსაკუთრებული სახის თეატრალი პიროვნებაა, თეატრალი ნაწარმოები. თავ. ა. ი. სუმბათაშვილმა კი ცხადად გვაჩვენა, თუ როგორ შეიძლება ასეთს შემთხვევაში ავტორის მიერ დახატულ ტიპის გარდაქმნა, თავისებური სულის ჩაბერვა და მით განთავისუფლება ტრადიციული შაბლონისაგან, ტრაფარეტობისაგან. რწმენა თავის თავისადმი, უაღრესად შორს მჭვრეტელი, მუდამ ტუჩზე სიმპატიურ ღიმილ-განუშორებელი, თავდაჭერილი თვით მაშინაც კი, როდესაც თითქმის საქმე წაგებულია და შესაძლებელია სიცოცხლის ფასად დაუჯდეს მას ერთგვარი პოლიტიკური ავანტიურა, მსახიობის ნიჭის წყალობით უნიღაბო სინამდვილის სურათს გვირდგენდა.

გასტრალიორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას თან ახლავან ღირსეული თანამშრომელნი. მსურდა, შევჩერებულიყავი ქ-ნ იურიევის დედაკაცზე, ანუ ქ-ნ ლევშინას მთავრის ასულ მალბორუზე, რომელიც სასახლის და სახელმწიფოს ამრევდამრევად გამოვიდა. ორთავე, თქმა არ უნდა, შეუდარებლად თამაშობდნენ. ასევე მსურდა „ჭიქა წყალის“ საიდუმლოზე შეჩერება, მაგრამ შორს წაგვიყვანს. შევჩერდებით ცოტად ქ-ნ მელნიკოვის ლედი ალბმერზლე. გრაციით სავსე პატარა ლედი ნარნარი ეფექტის მქსოველია. გარეგნულ სინარნარეს დართვაა კეკლუცი, მელოდიური, ვერცხლის ზარის ხმა, ხან მოკასკისე, ხან უბრყვილო და უმანკო ცრემლების თოვის დროს მწუხრი, თითქოს აბრეშუმის ქსოვილს ოდნავ შეუნელებია ზარის წარმტაც წკრიალიო. მისი ჩაცმულობა, მაისი ვარდის მშვენებით შეკალთვა თვალწინ გიდგენდათ უფრო ვენეციის კარნავალის დროს მხიარულს სამოსს, ვიდრე ინგლისის სასახლის ქალისას, მაგრამ რას ნიშნავს ყველა ეს გარეგნული სიკეკლუცე მის გრაციით სავსე თამაშის დროს, როდესაც იგი ამ ლედის ასახიერებდა quand même? დიახაც, ქ-ნი მელნიკოვისა ღირსი იყო იმ გულწრფელი ყურადღებისა და აპლოდისმენტების, რაც თავ. ა. ი. სუმბათაშვილის თანასწორად მიიღო ამ დღეს...

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ პიესა ჩინებულად დაიდგა. თბილისი ბედნიერია ასეთ ძვირფას ხელოვანთა დასის სტუმრობით.

**დ. კასრაძე.**

## წერილი ტრაპიზონიდან

25 აპრილს წმ. გრიგოლის ტაძარში ქართველობამ გადაიხადა პანაშვიდი სრულიად იმერეთის **მეფე სოლომონის** სულის მოსახსენებლად და გადავიღეთ სურათი განსვენებულ მეფის ძეგლთან, როგორც ყველას მოეხსენება მეფე სოლომონ განისვენებს ტრაპიზონში მეფის ძეგლს შემდეგი წარწერა აქვს ქართულად:

განმეძარცვა მე პირველი ქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველ და გდებული საფლავსა ამას შინა ტომისაგან დავითისა შთამომავლობით ბაგრატიონი ძე არჩილისა სრულიად იმერთა მეფე სოლომონ რომლისათვისაცა ვთხოვ ყოველთა მიერ შენდობასა ფებერვალის ხ. ეკს. ქეს. აქთ. ჩ. ყ. ი. ე.—

**ნესტორ მიქელაიშვილი.**

## მომხმ. საზოგადოება „ალორძინება“

მომხმარებელ საზოგადოების „ალორძინების“ გამგეობის უკანასკნელ კრებაზე გამოტანილ იქმნა შემდეგი დადგენილებები: 1) ანგარიშის შედგენის დასაჩქარებლად მოწვეულ იქნეს დახელოვნებული ბუღალტერი ბ-ნი პალატნიკოვი, რომელსაც უნდა მიეცეს ერთდროულ გასამრჯელოდ 250 მ.

2) საწყობის გამგეთ გადაყვანილ იქმნა კანტორის მოხელე ვ. წვწვაძე, მის ალაგას კი მოწვეულ იქმნა სხვა.

3) „ამიერ-კავკასიის“ მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის დამფუძნებელ კრებაზე დასასწრებლად რწმუნებულებად ამორჩეულ იქმნენ: ა. ფარნიევი და დ. კახელაძე.

4) ტრამვაის მოსამსახურეთა 51 წევრის განცხადების გაცნობის შემდეგ გამგეობამ დაადგინა გამოცხადებულ იქნეს შემდეგი: ა) „ამიერ-კავკასიის“ მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის დამფუძნებელ კრებისათვის რწმუნებულთა ირჩევენ საზოგადოებათა გამგეობანი, თანახმად კავშირის წესდების 30 § და ბ) გამგეობის მიერ უკვე გადაწყვეტილია საზოგადოების არაჩვეულებრივი კრების მოწვევა, დრო დაალაგი საზოგადო კრებისა გამოცხადებულ იქმნება სარევიზიო კომისიის რევიზიის დამთავრების შემდეგ.

## დაბა-სოფლები

**სოფ. ბაკურციხე** (კახეთი). სოფ. ბაკურციხეში და მის ახლო-მახლო სოფლებში სახედრების რეკვიზიცია იყო. ბევრს საწყალს გლეხს ერთი სახედრის მეტი თითქმის არა ებადა რა. მერე ცხენებიც მოკრიბეს. უამისოდაც ცხენის შოვნა არ იყო. ცხენის ფასი 15 თუმანს აღემატებოდა, ახლა ხომ ცხენის შოვნაც აღარ არის. 4 მაისს ღამის $10^{1}/_{2}$ საათზე ადგა საშინელი ქარი და წამოვიდა კოკის პირული წვიმა, რომელსაც მოჰყვა სეტყვა რამაც რამდენიმე წუთს გასტანა. ქარმა მიამსხვრია კრამიტები, სახლებში თითქმის ისე წვიმდა როგორც კარში. ბოლოს ტაროსი დამშვიდდა, თუმცა შთებიდგან მოვარდნილი ნიაღვარი მთელი ღამე ხევში ისევ-ისე დაკოდილ ნადირივით ღრიალებდა. გათენდა. მთელი ვენახები თითქმის შემოდგომას მოგაგონებდათ. გადარჩენილი სამამულე რქა და ყურძენი აქა-იქ მოსჩანდა გახროკილ ვაზებიდგან. ზარალი მარტო სოფ. ბაკურციხეში დაახლოვებით 30,000 მან. აღემატება.

სოფლებში ქურდობა გახშირდა. დღე არ გავა, რომ არ დაიკარგოს რა. იმ საშინელ ღამესაც კი პოლკოვნიკ თავ. გ. ს. ვაჩნაძეს მოჰპარეს ფური.

**ვაჩნაძიანელი.**

## თეატრი და ხელოვნება

ორჯელ ზედიზედ, სამსა და ოთხს თიბათვეს ხალხო სახლში რეჟისორი შალვა დადიანის მიერ დადგმულ იქნება სანდრო შანშიაშვილის დრამა 5 მოქმედებად გიორგი სააკაძის ცხოვრებიდან **„უგვირგვინო მეფენი“.**

როლები განაწილებულია საუკეთესო მსახიობთა შორის. დრამა ავტორის მიერ ახლად შესწორებულია და მის დადგმაში თვით სანდრო შანშიაშვილი ახლო მონაწილეობას იღებს. მუშავდება ახალი დეკორაცია, რისთვისაც მოწვეულნი არიან ჩვენი მხატვრები. დრამაში მონაწილეობას იღებს მ. კავსაძის ხორო.

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ დაგვიბეჭდოთ „საქართველოს“ მახლობელ ნომერში.

ულრმეს მადლობას მოვახსენებ შემდეგ პირთ, რომელთაც ხელი შეგვიწყეს 1915—1916 სამოსწავლო წელი გაეტარებინა თბილისის ქართულ გიმნაზიის პირველ კლასში თელავის ქართულ სკოლის სწავლა დამთავრებულ მოწაფე ლევან ცქიფურიძეს.

**შემომწირველთა სია.**

ოც-ოცი მანეთი: თავად სვიმონ ვახვახიშვილმა და უცნობმა.

თითო თუმანი: ვახტანგ ზარაფიშვილმა და თავად ვასილ ავალიშვილმა.

ცხრა მანეთი სიკო ბრაგვაძემ.

ოთხი მანეთი ვანო ახატაშვილმა.

სამ-სამი მანეთი: თავად ალექსანდრე ვახვახიშვილმა, მიხეილ კრუპენნიკოვმა, ზაქარია კლიმიაშვილმა, თამარა აბაშიძემ და ილია გორდეზიანმა.

ორ-ორი მანეთი: ნიკიფორე მამინაიშვილმა, ნინო ყაზახაშვილმა, ანა ჯაჯანიძემ, კიკო სულხანიშვილმა, ექ. ერისთავმა და ლევან ვახვახიშვილმა.

თითო მანეთი: ნ. გ—შვილმა, ე. ახატაშვილმა, ბ. ბარკალაიამ, ქ. რუსიშვილმა,№№, ანა ვარდიაშვილმა, ექიმმა ავალიშვილმა, ივანე ჩერქეზიშვილმა, ბ. სულხანიშვილმა, თ. შიუკაშვილმა, ექ. შიუკაშვილმა, ქ. ხითაროვმა, ქ. დიონისიევმა, ქ. ნეპსაძემ, თ. მაჩაბელმა, მ. ჯორჯაძემ და ნ. ლაშხაურმა.

ათ-ათი შაური: ნ. გ—ძემ, ბ. ჯაფარიძემ, კ. ნასიძემ, ნ. როსტომაშვილმა და ნიკო მარკოზაშვილმა.

სულ 121 მან. 50 კა.

აქედან გაიგზავნა ნახევარ წლის სწავლის ფული 37 მან. 50 კაპ. და ცხრა თვისა ყოველ თვიური შესანახი მოწაფის დიასახლისს (თვეში 10 მან.) 90 მანეთი სულ 127 მან. 50 კაპ.

ყველა დასახელებულ პირთ ჩემი მხრივ დიდ მადლობას მოვახსენებ.

თელავის ქართული სკოლის გამგე **ნინო გოგნიაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**


# გამოსადეგი ცნობა

## კავკასიის სამკურნალო ადგილების ცნობის მიმცემი ბიურო

(ბარიათინსკის ქუჩა № 6.)

უფასოდ იძლევა ყოველგვარ ცნობებს კავკასიის სამკურნალო ადგილების ყოველგვარ საკითხზე. ბიურო ღიაა საღამოს 5—7 საათამდე ყოველ დღე, უქმე დღის გარდა. ტელ. 14—96. წერილობითი პასუხის მისაღებად 10 კ. მარკა უნდა გამოიგზავნოს. (უ)

# თევზის მრეწველნი ძმ. ძებველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-ზვით,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.